ეროვნული ბიბლიოთეკა


# საჩოგიელო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 5 ნოემბერი 2007 №256 (3179) ფასი 50 თეთრი


## დილას კარგი დილა გაუთენდა

### ვინ არის დიქსი და ვინ არის სხვა შვიდი?

დღეს საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის ბოლსწინა ტურია და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ვინძლო, ჯგუფებიდან გასულთა უმრავლესობის ვინაობა უკვე გაირკვეს.

გუშინ კი პირველი მეოთხედფინალისტის სახელი შევიტყვეთ. „დილა" — გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში გავარდნის პირასაა, თასზე ბევრისთვის შესაშურად კარგად თამაშობს და აგერ, შედეგიც. და ეგებ ამაზე მოულოდნელი გორში პირველი ლეგიონერის გამოჩენაა. ნიგერიელ დიქსენ ჩუკვუ ბუვადიეგვუს, ქართლელებმა ჩვენთვის უფრო კეთილხმოვანი „დიქსი" რომ შეარქვეს, დებიუტი სანაქებო ჰქონდა — გოლი და საგოლე კომბინაციის თანაავტორობა მიითვალა.

ხოლო დღეს დიდი შანსია, რომ მეოთხედფინალისტობა პირველიგელმა ჭიათურელებმა მოიპოვონ, „ვიტ ჯორჯია" კი შარშანდელის მსგავსად ჯგუფში ჩარჩნენ. სხვა საინტერესო და მოულოდნელი ვარიანტებიც შეიძლება გამოჩნდეს. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. პასუხები კი საღამოს გვექნება.

## არგუმენტი და კონტრარგუმენტი

### ჩვენ ერთი გუნდი ვართ VS შედეგი



რა უნდა მოხდეს, კლაუს ტოპმიოლერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი რომ არ გაუგრძელოს. ეს ფაქტობრივად მხოლოდ დროის ამბავია.

მაგრამ კვლავაც ღიად რჩება სხვა უცხოელ მწვრთნელთა საკითხი — პეტარ სეგრტი, რალფ მინგე, ჰანც ტოპმიოლერი, ჰერბერტ ცანკერი, ასევე ახალ კონტრაქტებს ელიან.

ამ საკითხთა გასარკვევად დრო ჯერაც გვაქვსო, ამბობენ ფედერაციაში, თუმცა ვარაუდების გამოთქმა ახლავე შეგვიძლია.

ჰერბერტ ცანკერი, ვინაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელია, დარჩენაზე ლაპარაკობს. სურვილის გარდა მის სიტყვებში იმედი და არგუმენტიც ჩანს — რაკი კლაუს ტოპმიოლერი რჩება, ხოლო ჩვენი ერთი გუნდი ვართ...

არგუმენტი გასაგებია, თუმცა კონტრარგუმენტიც არსებობს — საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს მეტისმეტად ცუდი შედეგი აქვთ.

შედეგი თუ გუნდურობა — ამ საკითხზე კამათი უეჭველად გაგრძელდება. იქამდე კი ვთქვათ: დღეს გლდანში, „ამერზე", ქართველი 16-წლამდელები რუს ჭაბუკებს ამხანაგურად ეთამაშებიან. და თუ რატომ 16-წლამდელები და არა ერთი წლით უფროსები, ესეც იოლი მისახვედრი უნდა იყოს — ჰერბერტ ცანკერი მომავალს აკვირდება...

## აი, ფეხბურთის დემოკრატია

### დიდთა დაკარგულს პატარები პოულობენ



ალესანდრო დელ პიეროს „იუვენტუსმა" ვერ მოიგო, მაგრამ „ინტერსაც" არ მოაგებინა

ხშირად არა, მაგრამ ასეც ხდება ხოლმე, რომ ევროპაში ერთდროულად რამდენიმე ისეთი თამაში გამოერევა, კაცი უკეთესს რას ინატრებს.

ამ უქმეებზე „სევილია" — რეალიც" იყო, „არსენალი" — „მანჩესტერიც" და „იუვენტუსი" — „ინტერიც".

ამაზე იშვიათი კი ის ამბავი გახლავთ, რომ ევროპის ოთხი ბობოლა ჩემპიონატის ლიდერთაგან ვერავინ მოიგო: „რეალიც", „ინტერიც", „არსენალიცა" და „ბაიერნიც" ქულანაკლულნი დარჩნენ.

ხოლო ბობოლა პირველობათა ბოლოებმა ქულები მოხვეტეს. „კოტბუსმა" და „ლევანტემ" პირველი მოგებით გაიხარეს.

## ძველბიჭობა

### ორწამიანი სიბრმავე თუ ...



იშვიათად, საკალათბურთო ჩემპიონატში ისეთი დაძაბული ტური გამოერიოს, გუშინ რომ იყო, თუმცა სპორტის სასახლემ სპორტულთან ერთად ძველბიჭური ემოციებიც დაიტია.

გვარიანი მოულოდნელობა იყო სეზონის წინ სამადლოდ და შიშველი ენთუზიაზმით შეკრებილი თსუ-სგან ვიცე-ჩემპიონ „ავიამშენის" დამარცხება, თუმცა მატჩის დასასრული გამოდგა ვერცთუ მოსაწონი. საფინალო სირენა იყო და, წაგებული „ავიატორები" მსაჯ დავით არეშიძეს მისცვივდნენ, ბრმა ხარ თუ რატომ არ დააჯარიმე სტუდენტებიო.

წაგებულები არბიტრს ბოლო წამებზე მომხდარ ეპიზოდზე ედავებოდნენ: ქულით ჩამორჩენილი „ავიამშენის" ლიდერი კოტე ტუღუში თსუ-ს ფარისკენ დაიძრა და სტუდენტებმა საფინალო სირენამდე ორიოდ წამით ადრე მას ბურთი გააგდებინეს. კონტაქტი აშკარად იყო და ჯარიმის დანიშვნაც ალბათ შეიძლებოდა, მაგრამ მსაჯმა სხვანაირად განსაჯა და სირენის შემდეგ დასაცავიც გახდა.

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური

www.pfl.ge

გორი. 4 ნოემბერი. 14 საათი. თ. ბურჯანაძე

### დილა 4:0 კახეთი

1:0 ნ. ნოზაძე (18პ), 2:0 ბუვადიეგვუ (44), 3:0 სამადაშვილი (45პ), 4:0 ნოზაძე (88)

| | |
|---|---|
| დილა: კეხუაშვილი, ბალიაშვილი, მასურაშვილი, დ. ხანიშვილი, კურტანიძე, სადალაშვილი (სირბილაძე 57), ნ. ნოზაძე, ტლაშაძე, ლაცაბიძე (ლომიძე, 54), ბუვადიეგვუ, სამადაშვილი (ბუზალაძე 50) | კახეთი: ჯიქურიშვილი, გიგაური, იოსებაშვილი, ნივილაშვილი, გენგაშვილი, მელიქიშვილი (რაზმაძე 62), აბდულაევი, ბიძინაშვილი, გერგიშვილი, ნითელაშვილი, (ხუციშვილი 46), ბურნაძე (ლონდაძე 46) |
| *სათადარიგონი:* ილურიძე, თურმანიძე, იჩქითი, სულთანიშვილი | *სათადარიგონი:* კუფარაშვილი, ახალბედაშვილი |
| მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე | მწვრთნელი: ი. ასაბიშვილი |

გაფრთხილება: ბურნაძე

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი; ლ. კვარაცხელია

# ვინ არის დიხი?
## ნიგერიელმა დილა გაანათა

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

„დილამ“ იოლად, უპრობლემოდ გაიმარჯვა და, ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა. თამაშის ბედი პირველ ტაიმშივე გადაწყდა, როდესაც მასპინძლებმა სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს სტუმართა კარში.

„დილას“ ძირითადის რამდენიმე მოთამაშე აკლდა, მაგრამ ინიციატივას თავიდანვე დაეუფლა და ეგებ, ყველაზე საინტერესოც — მასპინძელთა რიგებში მაყურებელმა პირველად იხილა ნიგერიელი ლეგიონერი დიქსენ ჩუკვუ ბუვადიეგვუ, რომელმაც ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა, დებიუტი გოლითაც აღნიშნა და კიდევ ერთ გოლშიც დაიდო თავისი წილი.

ბუვადიეგვუ 22 წლისაა.

პირველ წუთებში გუნდები ოდნავ ფრთხილობდნენ, მაგრამ უკვე მე-10 წუთიდან მასპინძლები საგრძნობლად გააქტიურდნენ და სულ მალე ნოზაძემ საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი, მაგრამ ოდნავ არაზუსტი დარტყმით შეამოწმა „კახეთის“ მეკარის სიფხიზლე. პირველი გოლი კი მე-18 წუთზე გავიდა სტუმართა კარში. „დიქსიმ“ (ასე შეარქვეს ნიგერიელს) კარგად ითამაშა შეტევის მარცხენა ფლანგზე და საჯარიმოში ზუსტად ჩააწოდა სადალაშვილს, რომელიც ბურნაძემ წააქცია, პენალტი კი ნოზაძემ დაარტყა ზუსტად.

ამის მერე „დილას“ უპირატესობა უფრო გამოიკვეთა და სტუმართა კართან სახიფათო მომენტებმაც იმატა. ნოზაძის პასით ნიგერიელი პირისპირ გავიდა „კახეთის“ მეკარესთან, მაგრამ დარტყმა იჩქარა და ბურთი მიზანს ააცილა. მერე ტლაშაძე-სამადაშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელის თავური დარტყმით კი დამთავრდა, მაგრამ ბურთი ჯიქურიშვილს ხელებში მიუვიდა. 27-ე წუთზე კვლავ სამადაშვილს შეექმნა კარგი მომენტი, მაგრამ ისევ ხელებში მიაწოდა მეკარეს. ჯიქურიშვილი „დიქსის“ კიდევ ერთი იერიშის დროსაც უშეცდომოდ გაისარჯა.

რაც შეეხება სტუმრებს, თითქოს ცდილობდნენ მომენტების შექმნას, მაგრამ უზუსტო პასებით ხშირად სცოდავდნენ.

ტაიმის ბოლო წუთებზე „დილამ“ კიდევ ორი გოლი გაიტანა სტუმართა კარში. ჯერ, 44-ე წუთზე ხანიშვილი-სამადაშვილის კომბინაციის შემდეგ ბუვადიეგვუმ „კახეთის“ საჯარიმოში დასწრებაზე ითამაშა და ახლოდან მეორე გოლი გაიტანა, ხოლო ტაიმის ბოლო წუთზე თელაველები კვლავ სადალაშვილს ეთამაშნენ უხეშად თავიანთ საჯარიმოში და სამადაშვილმა მეორე პენალტით სამამდე გაზარდა ანგარიში.

მეორე ტაიმში მასპინძელთა შეტევას სიმწვავე მოაკლდა და ძირითადად ბურთის კონტროლზე კეთდებოდა აქცენტი. თუმცა „დილამ“ რამდენიმე მომენტი კიდევ შექმნა. ბალიაშვილმა ბუზალაძე პირისპირ გაიყვანა „კახეთის“ მეკარესთან, მაგრამ ახალგაზრდა მოთამაშემ ბურთი ვერ დაიმორჩილა.

თელაველები პრესტიჟის გოლის გატანასაც ცდილობდნენ და ზაქარია ბიძინაშვილმა ბურთი ძელსაც გაარტყა. ბოლოს კი ნოზაძემ საჯარიმო დარტყმიდან მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 4:0.

გორი. 5 ნოემბერი. 14 საათი. თ. ბურჯანაძე

**სპარტაკი ცხინვალი — ტორპედო ქუთაისი**

მსაჯები: ვ. გუმბერიძე; ი. უკლება, ა. კოკაია; ა. კრიჭაშვილი

ახალციხე. 5 ნოემბერი. 14 საათი. მ. იაძე

**მესხეთი ახალციხე — ამერი თბილისი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე; ა. გუნთაძე; ვ. ელისაბედაშვილი

თბილისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. მ. მესხი

**ლოკომოტივი თბილისი — მაღაროელი ჭიათურა**

მსაჯები: გ. დოგრაშვილი; ხ. მაისურაძე; ქ. გაიპარაშვილი; გ. ვადაჭკორია

მცხეთა. 5 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია თბილისი — დინამო თბილისი**

მსაჯები: მ. ურუშაძე; გ. ყრუაშვილი; ბ. ჭიჭინაძე; ა. ნონიკაშვილი

ბათუმი. 5 ნოემბერი. 14 საათი. მერანი

**ბათუმი — მერანი თბილისი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ჯვარიძე; ზ. ერქვანია; პ. დოგრაშვილი

ბორჯომი. 5 ნოემბერი. 14 საათი. ჟ. ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ოლიმპი რუსთავი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი; ქ. გუდურაშვილი; ზვ. ასკაროლლი

ზუგდიდი. 5 ნოემბერი. 14 საათი. გ. თუთბერიძე

**მგლები ზუგდიდი — ზესტაფონი**

მსაჯები: ო. ხეცაძე; გ. ჩიგოგიძე; ბ. მჟავანაძე; ჟ. ბუიშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | | | | | |
| ამერი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:3 | 9 |
| სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| მესხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ტორპედო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:15 | 0 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| მაღაროელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 9:4 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |
| **C ჯგუფი** | | | | | | |
| ოლიმპი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| მერანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:2 | 4 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| **D ჯგუფი** | | | | | | |
| დილა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| მგლები | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| კახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | 0 |

დღეს „მიხეილ მესხზე“ „ლოკომოტივი“ — „მაღაროელია“. გამორჩეული კი ამ მატჩში ის არის, რომ არბიტრ გიორგი დოგრაშვილის ასისტენტები მანდილოსნები იქნებიან — ხათუნა მაისურაძე და ქეთი გაიპარაშვილი. რაც დამოუკიდებელი ფეხბურთი გვაქვს, მას შემდეგ პირველად ხდება, რომ უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდის თამაშს ქალები განსჯიან.

# დღეს უნდა [illegible] ყატარში მივდივართ



უჩა უგულავა

**ინებეთ,** საქართველოს ნაკრები 17 ნოემბერს ამხანაგურ მატჩს ყატარში გამართავს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია, ორშაბათს კი ოფიციალურად გამოვაცხადებთო.

რას წარმოადგენს ყატარი? ამ არაბულენოვან ქვეყანას ფეხბურთის სფეროში ჩაფულიანებული კლუბებით იცნობენ, სადაც ბევრ ცნობილ ვარსკვლავს უთამაშია კარიერის მიწურულს. რაც შეეხება ნაკრებს, ყატარელები აზიური მასშტაბითაც ვერ გამოირჩევიან — ეგაა, ორიოდ კვირის წინ აზიის თასის მფლობელ ერაყს 3:2 მოუგეს.

ყატარი ფიფას რეიტინგში 84-ე ადგილზეა, ანუ საქართველოზე 13 საფეხურით დაბლაა და კიდევ, ამ ნაკრებს ურუგვაელი ხორხე ფოსატი წვრთნის.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ყატარის გარდა, საქართველოს სავარაუდო სპარინგ-მეტოქეები სენეგალი, ბოსნია, განა და იორდანია იყვნენ.

**ილია ნანობაშვილი**

## თვალი თვალი




*გაუჩნდება ვითომ ვინმეს ბილეთის ყიდვის სურვილი, ამ აბრას რომ დაინახავს? შეხედეთ, ჯიხურია ისეთი, მე-19 საუკუნის დუქანს უფრო მოვაგონებთ, მაგრამ ნუ იტყვით, დუქანი კი არა, ტელეატელიე ყოფილა. თან ნახეთ, რამხელა ასოებით წერია, „ტელეატელიე“, ხოლო ქვემოთ, „ბილეთის ყიდვით ეხმარებით გორის დილასო“, ლუპით უნდა წაიკითხო. ერთი სიტყვით, ეს გორის „დილას“ სტადიონის სალაროა...*

*მაგრამ ეს არ არის მთავარი, ბილეთის ყიდვის კულტურა ჩვენში რომ არ არსებობს, ძველი ამბავია. მაგრამ ნაღდად უნდა ვეცადოთ, რომ იარსებოს და ეს წარწერაც ამას ემსახურება.*

საქართველოში რომელ კლუბებზეც ითქმის, გამოხატული იერ-სახე აქვთ და იციან, რას აკეთებენო, ერთ-ერთი ასეთი „ვიტ ჯორჯიაა“. ამ გუნდს ახალგაზრდების ტრამპლინიც შეიძლება დავარქვათ — წლები გადის, ვიტელებს მუდმივად ტოვებენ წამყვანი ფეხბურთელები, თუმც გუნდი დიდად არ სუსტდება და სულ ლიდერთა ჯგუფში ტრიალებს. „ვიტ ჯორჯიას“ ამ ზამთარსშიც ემუქრება შეთხელება: 22 წლის ფორვარდი ნიკა გელაშვილი ბელგიაში წასვლას ეშურება. სანამ თითქმის გადაწყვეტილ ტრანსფერზე ვკითხავდით, ნიკას აქაურ ამბებზე ველაპარაკეთ — გელაშვილი 5 გატანილი გოლით ბომბარდირთა შორისაც ტრიალებს

# ნიკა გელაშვილის უეჭველი ბელგია

## აქ ბევრ მინდორზე არც შეისვლება



— ბოლო მატჩებში გეტყობა, რომ კარგ ფორმაში ხარ...

— კი, ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. თუმცა მთავარია, რომ „ვიტ ჯორჯია“ გამოიყურება კარგად. ამასწინათ „დინამოსაც“ მოვუგეთ და მესამე ადგილზე ვართ, რაც ცუდი შედეგი არაა. თანაც წინ წაწევის შანსიც გვაქვს.

— მაინც, რაშია „ვიტ ჯორჯიას“ ძალა?

— პირველ რიგში, ერთ მუშტად ვართ შეკრულნი. მეგობრული გუნდი გვყავს. ვფიქრობ, ფიზიკურად სხვა ბევრზე უკეთაც ვართ მომზადებულები.

— ამ სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ ამოცანა რა იქნება?

— კარგი თამაში, ყველა მატჩში მოგებისთვის ბრძოლა. პირველი წრის შემდეგ უკეთ გამოჩნდება, რისი იმედი უნდა ჰქონდეს გუნდს გაზაფხულზე.

— როგორ ფიქრობ, ჩემპიონი უეჭველად „დინამო“ ან „ზესტაფონი“ გახდება?

— ეს გუნდები საკმაოდ წინ არიან და ჯერჯერობით, ასეც ჩანს, მაგრამ არც ჩვენ გვძინავს და ალბათ, „ამერიც“ ამოქაჩავს. კარგ პოზიციაზე არიან „მგლები“ და „ბორჯომიც“, თუმც მათ ჩემპიონობაზე ფიქრი ალბათ არარეალურია.

— ზაფხულში ბელგიურ კლუბებში იყავი გასინჯვაზე და მაშინ გვითხარი, ზამთარში უეჭველად იქ წავალ სათამაშოდო. გაირკვა, რომელ კლუბში გადადიხარ?

— დაზუსტებით ნამდვილად არ ვიცი. ბელგიაში ჯერ „ბრიუგეში“, მერე „ზულტე-ვარეგემში“ ვიყავი გასინჯვაზე, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება აღარ ესწრებოდა. ჩემპიონატის დაწყებამდე 5 დღე რჩებოდა და ყველა გუნდს შემადგენლობა უკვე დაკომპლექტებული ჰყავდა. ზამთარში კი ჩემს მენეჯერთან ერთად გადავწყვეტ, რომელ კლუბში გადავალ...

— ლაპარაკი მხოლოდ ბელგიურ გუნდებზეა?

— კი. მათგან „ბრიუგე“ ყველაზე მიმზიდველია, მაგრამ სხვა გუნდებიც, სადაც შეიძლება გადავიდე, უმაღლეს ლიგაში თამაშობენ.

— საქართველოს ჩემპიონატიდან წასულს, ბელგიურ კლუბში ვარჯიში არ გიჭირდა?

— მიჭირდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. თუ ფიზიკურ მომზადებაზეა ლაპარაკი, ბელგიაში უკრაინა-რუსეთზე დიდი დატვირთვები ნაღდად არ არის. უფრო ტექნიკა-ტაქტიკაზე მუშაობენ. თუმცა საქართველოსთან შედარებით უფრო მაღალი დონეა.

— და ჩვენი ჩემპიონატის ყველაზე დიდი პრობლემა რა არის?

— ბევრი რამეა, მაგრამ ყველაფერი უფულობიდან მოდის. 4-5 გუნდის გარდა, ნორმალური ფინანსური მდგომარეობა არავის აქვს. და კიდევ, მოედნები... ახლა უკვე ამინდები შეიცვალა და უმეტეს სტადიონებზე არც შეისვლება, საფარი ისეთ დღეშია.

**ილია ნანობაშვილი**

# ამ კვირის მონაგარი: სამი ქართველის ხუთი გოლი

## დავით მუჯირმა ისტორიაში სახელი, კრილია კი პრემიერლიგაში დატოვა

**წინა** უქმეები ევროპულ კლუბებში მოთამაშე ქართველებისთვის გოლუხვი ვერ გამოდგა, თუმც ჩვენებურთა ანგარიშზე ხუთი ბურთია.

სერია A-ში საშინაო მოგების გემო ვერა და ვერ გაიხსენა „მილანმა“. კახა კალაძეს და კომპანიას ბურთი არ გაუშვიათ, თუმც „ტორინოს“ ვერც თავად გაუტანეს და უგოლოდ გაეყარნენ. მილანელები კვლავაც ცხრილის შუაგულში ტრიალებენ.

„ბლექბერნის“ მწვრთნელი მარკ ჰიუზი თავის ხუშტურებზეა და ზურაბ ხიზანიშვილს ხან ათამაშებს, ხან — არა. „ლივერპულთან“ მატჩში ჩვენებურს არ უთამაშია. მატჩი, კი კალაძის გუნდისა არ იყოს, უგოლოდ დასრულდა.

ასევე უგოლოდ გაეყარნენ ერთურთს „ბაშინგი“ და „შტურმი“. შტურმელმა გიორგი შაშიაშვილმა სრულად ითამაშა და ყვითელ ბარათსაც გამოჰკრა ხელი.

გერმანიის ბუნდესლიგაში „კოტბუსთან“ 0:1 წააგო ლევან კობიაშვილის „შალკემ“, ჩვენებურს ტრავმის გამო არ უთამაშია.

არ უთამაშია ალექსანდრე იაშვილსაც. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, „იაში“ ბოლომდე სათადარიგო დარჩა, „კარლსრუემ“ კი „დუისბურგი“ 1:0 დაამარცხა და ისევ ბუნდესლიდერებში ტრიალებს.

მეორე ბუნდესლიგაში კი მხოლოდ დავით სირაძე გაისარჯა. „პადერნბორნს“ შეეძლო ბოლო ადგილისთვის თავი დაეღწია, მაგრამ „მაინცთან“ დაწინაურებულმა მოგება ვერ შეინარჩუნა — 1:1.

სათადარიგოთა შორის დარჩა ოთარ ხიზანეიშვილი, მის გარეშე კი „ფრაიბურგმა“ 4:2 მოუგო „კობლენცს“.

ტრავმის გამო არ უთამაშია მათე ღვინიანიძეს, მისი „მიუნხენ 1860“ კი სტუმრად უგოლოდ დაუზავდა „ვეჰენს“.

ყველაზე „ქართული“ „კარლ ცაისი“ კი დღეს ითამაშებს.

როგორც იქნა, „თუნის“ ძირითადში დაბრუნდა სანდრო იაშვილი, მისმა გუნდმა კი 0:0 ითამაშა „იანგ ბოიზთან“ — სანდრო 71-ე წუთზე შეცვალეს.

რუსეთის ჩემპიონატში თავისი გოლების რაოდენობა რვამდე გაზარდა დავით მუჯირმა. „ტუტუშ“ მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივს“ (3:1) მეორე გოლი გაუტანა და „კრილია სოვეტოვი“ პრემიერლიგაში დატოვა. მუჯირმა 81 წუთი ითამაშა და გოლის გარდა ყვითელი ბარათიც მიიღო, მსაჯმა ასათიანიც გააყვითლა.

ნამატჩევს „კრილიას“ თავკაცმა ალექსანდრ ტარხანოვმა თქვა, მუჯირმა თავისი სახელი „კრილიას“ ისტორიაში დატოვაო.

„კრილიამ“ ლიგაში დარჩენა კი გაინაღდა, აი, ალეკო ამისულაშვილის „ნალჩიკი“ ჯერ მშვიდად ვერ არის და ყველაფერს ბოლო ტურში გადაწყვეტს. ამ ტურში ნალჩიკელებმა 1:2 წააგეს სტუმრად ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგიასთან“. გვაზავას არ უთამაშია, ამისულაშვილი კი სრულად გაისარჯა.

ნუკრი რევიშვილისა და ლაშა სალუქვაძის „რუბინმა“ სტუმრად 1:0 მოუგო „დინამოს“. სალუქვაძემ სრული 90 წუთი გაატარა მოედანზე, რევიშვილისთვის კი ეს სეზონი დასრულებულია. ავარიის შემდეგ ნუკრი სამი თვე იუქმებს.

სტუმრად ითამაშა გოგიტა გოგუას „სატურნმა“ და 1:3 დამარცხდა „ამკართან“. გოგუა ჩვეულად აქტიური იყო, თუმც მისმა გუნდმა ვერ იხეირა.

უკრაინაში მორიგი სიურპრიზი შემოგვთავაზა ხარკოვის „მეტალისტმა“, რომელმაც სტუმრად 1:0 მოუგო კიევის „დინამოს“. ლაშა ჯაკობია ძირითადში იყო, მაგრამ ჩვენებურს თამაში არ წაუვიდა და მე-40 წუთზე შეცვალეს.

ვერ აეწყო გიორგი დემეტრაძის არსენალური კარიერა, ჩვენებურს მოედანზე ათიოდე წუთით თუ უწევს ყოფნა. ასე იყო „ხარკოვთან“ (0:2) მატჩშიც — დემე ზავაროვმა მოედანზე მე-80 წუთზე შეუშვა.

ვლადიმერ ბურდულის „ზარიამ“ 1:0 მოუგო კახა ალადაშვილისა და ოთარ მარცვალაძის „ზაკარპატიეს“. ბურდული 67 წუთი იყო მოედანზე, მეტოქის კარს რამდენჯერმე დაემუქრა, თუმც გატანა ვერ შეძლო. ორი წუთით ნაკლები ითამაშა მარცვალაძემ, ხოლო ალადაშვილმა მთელი მატჩი.

ერთი ტაიმი გაისარჯა ზაპოროჟიეს „მეტალურგისთვის“ დავით კვირკველია, იგი შესვენებაზე შეცვალეს, მისმა გუნდმა კი „ტავრიას“ ვერაფერი მოუხერხა — 0:0.

„კარპატისთან“ სტუმრად მოგებულ მატჩში (1:0) არ უთამაშია დნეპროელ ჯაბა კანკავას.

ორი ტურია, არ თამაშობს ვასილ გიგიაძე. მის გარეშე მოიგო ახტირსკის „ნეფტიანიკმა“ „ვორსკლასთან“ — 2:0.

მოლდოვის ჩემპიონატში დუბლი მიითვალა ჯაბა დვალმა, რომელსაც გოლების გატანაში ვიტალი დარასელიაც დაეხმარა. მათმა „დაჩიამ“ სტუმრად 4:1 მოიგო.

ასევე დუბლი შეასრულა ყარაგანდის „შახტარის“ ქართველმა ლევან მელქაძემ, ვისაც გოლების გატანაში ლაშა ნოზაძე დაეხმარა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



დავით მუჯირის მერვე პრემიერლიგური გოლი „კრილიას“ ლიგაში დამტოვებელი გამოდგა



# ოღონდაც გერმანია, ასე არ არის
## ლევან ცქიტიშვილი ზარს და მეტს ელოდება

ლევან ცქიტიშვილის „კაიზერსლაუტერნში" შესაძლო გადასვლაზე გერმანულ პრესაშიც დაიწერა, ეს გარიგება სავარაუდოდ, ზამთარში უნდა შედგესო.
ახლა „ლაუტერნში" ისეთი აბურდული სიტუაციაა, გადაჭრით ვერავინ ამბობს, დარჩება თუ არა ზამთარში გუნდის მწვრთნელად კეტილ რეკდალი, თუმცა ვინც უნდა იყოს თავკაცი, ცხადია, „ლაუტერნს" პირველ რიგში, გამოცდილი ფეხბურთელები სჭირდება.
გეცოდინებათ, ლევან ცქიტიშვილის შემატება „ლაუტერნს" კლაუს ტოპმიოლერმა შესთავაზა. თავად ტოპის ამ კლუბში რაიმე თანამდებობაზე დანიშვნა კი ოფიციალურად გამოირიცხა — „ლაუტერნის" სპორტულ დირექტორ მიკაელ შონბერგს უთქვამს, ახლა ვინმეს დახმარება არ გვჭირდებაო.
ლევან ცქიტიშვილი კი ამჟამად ისევ თბილისშია და სანაკრებო მატჩებამდე სათამაშო ფორმის შენარჩუნებას „ლოკომოტივთან" ერთად ვარჯიშით ცდილობს

— დიახ „კაიზერსლაუტერნიდან" მართლაც დამიკავშირდნენ. ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ ერთ კვირაში კიდევ დარეკავდნენ. ახლა სწორედ მათ ველი, გეგმებზე და პირობებზე კონკრეტულ შეთანხმებას უნდა მივაღწიოთ. ვნახოთ, რა გამოვა.

— „კაიზერსლაუტერნს" შენთან საქმის დაჭერა კლაუს ტოპმიოლერმა შესთავაზა. ამ საქმეზე ის ალბათ შენც გელაპარაკა...

— დიახ, მაგრამ ბევრიც არაფერი უთქვამს, „კაიზერსლაუტერნში" თუ ითამაშებო, ეს მკითხა.

— რა უპასუხე?

— პირობებს გააჩნია მეთქი. ამის მერე უკვე „კაიზერსლაუტერნიდან" დამიკავშირდნენ და იგივე მკითხეს. „კაიზერსლაუტენი", რა თქმა უნდა, დიდი და სახელოვანი კლუბია და იქ სიამოვნებით ვითამაშებ, მაგრამ დაუფიქრებლად გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ. ჯერ შემოთავაზებულ პირობებს შევხედავ და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ.

— გერმანელებს შენთვის უთქვამთ, ერთ კვირაში დავრეკავთო. ეს როდის იყო?

— სწორედ დღეს ველი მათ ზარს. ისე, ვფიქრობ, ინტერესი რეალური რომ იყოს, აქამდეც დარეკავდნენ, თუმცა ვნახოთ... ამას წინათ გერმანიაში ალექსანდრე იაშვილთან ვიყავი სტუმრად და მაშინ „კიკერში" წავიკითხე, რომ „კაიზერსლაუტერნი" მართლაც აპირებს ჩემთან მოლაპარაკებას. ცხადია, სასიამოვნოა, როცა ასეთი კლუბისგან ინტერესს გრძნობ.

— პირობებზე თუ შეთანხმდით, გერმანიაში ჯერ მაინც ვერ ითამაშებ...

— ჯერ ვერ ვითამაშებ, მაგრამ თუ შევთანხმდით, შესაძლოა, გერმანიაში ახლაც წავიდე და მეორე წრის დაწყებამდე იქ ვივარჯიშო.

— ახლა ისევ „ლოკომოტივთან" ერთად ვარჯიშობ?

— დიახ, სათამაშო ფორმის შენარჩუნებას თბილისში „ლოკომოტივთან" ერთად ვარჯიშით ვცდილობ. რაიმე, ჩემთვის საინტერესო წინადადება თუ მივიღე, წავალ. სხვა შემთხვევაში კი დროს უქმად არ დავკარგავ და აქვე ვიქნები, სანაკრებო შეხვედრებისთვის მოვემზადები.

**ჭოლა ინასარიძე**

# ჰერბერტ ცანკერს საქართველო უნდა
## მან თქვა: ყენია, მჭედლიძე, მაკარიძე

დღეს და ზეგ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ამხანაგურად რუს თანატოლებს გაეჯიბრება.
ჩვენების მწვრთნელ ჰერბერტ ცანკერს ეროვნული ნაკრების ბაზაზე ვესტუმრეთ, სადაც მისი გუნდი შეკრებას გადის.
ბაზაზე იმ დროს მივედით, როცა მთელი გუნდი საქართველოს ეროვნულ ჰიმნს ერთხმად მღეროდა და ეს მართლაც სასიამოვნო სანახავი იყო...



**— ხუთ და შვიდ ნოემბერს რუსეთის ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებს ამხანაგურად უმასპინძლებთ. რას ელით ამ შეხვედრებიდან?**

— ზაფხულში ჩვენ ვიყავით რუსეთში და აღფრთოვანებული დავრჩი მათი მასპინძლობით. მაშინ ერთი თამაში მოვიგეთ, ერთიც წავაგეთ და ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც დავტოვეთ. ძალიან მიხარია, რომ შანსი გვეძლევა, მათ ჩვენი არანაკლები მასპინძლობა ვუჩვენოთ, თუმცა, რა თქმა უნდა, მოედანზე ბრძოლას გავუმართავთ.

**— ამ ამხანაგური თამაშების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

— 23 ნოემბერს 92-93-წლელს დაბადებულთა შერჩევას ვიწყებთ. გასინჯვებს დასავლეთ საქართველოდან დავიწყებთ. დაგეგმილი გვაქვს, რომ მარტისთვის ამ პროცესს დავასრულებთ.

**— სექტემბერში ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე წარუმატებლად ითამაშეთ...**

— ევროშესარჩევის საკვალიფიკაციო წრის წინ პორტუგალიაში გვქონდა ამხანაგური თამაშები. ჩვენმა ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს. საოცარი ტემპი, ტექნიკა და მაღალი დონე აჩვენეს. არ დაგიმალავთ, ბულგარეთში თავდაჯერებულები წავედით, ვთვლიდით, რომ იმ ეტაპის გავლას შევძლებდით. თუმცა სტარტი არცთუ სახარბიელო ავიღეთ. ხორვატიასთან პირველი მატჩისას ბიჭები ძალიან ნერვიულობდნენ, რაც მეტოქემ სწორად გათვალა და გამოიყენა კიდეც. ხორვატიასთან ამ თამაშმა და შედეგმა იმედი ნამდვილად გამიცრუა. მეორე თამაში უნგრეთთან გვქონდა. მართალია, გუნდმა თამაში გამოასწორა, მაგრამ... როცა ბურთს ოცდაათი სანტიმეტრი აშორებს კარის ხაზთან და მხოლოდ წარტყმა უნდა, ჩვენ თავდამსხმელთან ეს ვერავინ მოახერხა. მათი სახეებისა და უმოქმედობის შემხედვარემ, კინაღამ გულის შეტევა მივიღე. უნგრეთს კი ორი შანსი ჰქონდა, რომლიდანაც ერთი — თერთმეტმეტრიანი გამოიყენა და თამაში მოიგო. ბულგარეთთან თამაშით კი კმაყოფილი ვარ, ძალიან კარგად ვითამაშეთ და შედეგიც მივიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ ევროშესარჩევს გამოვეთიშეთ, ამ ტურნირზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დავტოვეთ.

**— როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ჩვენი გუნდის ასეთი არასტაბილური თამაში, არასაკმარისმა გამოცდილებამ, თუ...**

— სულ რამდენიმე თვეა, რაც ამ გუნდთან ვმუშაობ. ეს ძალიან ცოტაა, იმ ფონზე, როცა მეტოქე გუნდები თითქმის ორი წელი ერთი შემადგენლობით ვარჯიშობენ და პრაქტიკას იძენენ. სწორედ ესაა ჩვენი მთავარი მიზანი, რომ რაც შეიძლება, დიდხანს ვიმუშაოთ ახალგაზრდებთან და სამომავლოდ, როცა ისინი უკვე 17-წლამდელთა ნაკრებში ითამაშებენ, ასეთი დონის ტურნირებისთვის მზად იყვნენ.

**— როგორც ვიცით, თქვენს კონტრაქტს წლის ბოლოს გასდის ვადა. ანუ ეს პასუხი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ კონტრაქტს აგრძელებთ და საქართველოში რჩებით?**

— მე ძალიან მომწონს აქ მუშაობა. ეს ბიჭები ძალიან კარგები არიან. ახლაც გუნდში 5-6 ისეთი საუკეთესო ფეხბურთელი მყავს. ძალიან დიდი საქმე დავიწყეთ და ნამდვილად მინდა, ჩემი დაწყებული საქმე მევე მივიყვანო ბოლომდე. ფედერაციის აზრს მე ვერ გეტყვით, სჯობს, ბატონ ნოდარ ახალკაცს თქვენ თხოვოთ ამაზე ოფიციალური კომენტარი, თუმცა ის ფაქტი, რომ კლაუს ტოპმიოლერი ეროვნული ნაკრების მწვრთნელად რჩება, ალბათ ნიშნავს, რომ მეც დავრჩები.

**— ანუ ბატონ ტოპმიოლერზე იყო დამოკიდებული თქვენი დარჩენა? თქვენ ხომ ცალ-ცალკე მოხვედით საქართველოში?**

— მე პირველი გერმანელი მწვრთნელი ვიყავი, თუმცა ამჟამად ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ყველა ასაკობრივი გუნდის მწვრთნელი ერთი მიზნისთვის — პირველი ნაკრების გაძლიერებისთვის მუშაობს.

**— მახსოვს, რუსეთიდან დაბრუნებულმა მიამბეთ, რომ ბევრი შეთავაზება გქონდათ. ახლა რა ხდება?**

— ახლაც მეკითხებიან ამას. დავაზუსტებ, რომ კონკრეტული შემოთავაზება არა, თუმცა ორი გერმანული და ორიც სხვა გუნდი დამიკავშირდა, რათა ჩემი აზრი გაეგოთ. ჩემი სურვილი კი ყველასთვის ნათლად ჩამოვაყალიბე, მე საქართველოში მუშაობა მინდა.

**— ჭაბუკთა ლიგაზე და, საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატზე რას იტყვით?**

— ჭაბუკთა ლიგის თამაშებს ინტენსიურად ვესწრები, მუდმივად მაქვს საუბრები მწვრთნელებთან, ვაძლევ რჩევებს და, რა თქმა უნდა, მათგანაც ვიღებ ბევრ ინფორმაციას. რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, მიმაჩნია, ის მთელი ქართული საფეხბურთო სამყაროს უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს. ჩემი აზრით, ყველანაირად უნდა ვეცადოთ ქართველ ფეხბურთელთა სამშობლოში დატოვებას. ყველა საზღვარგარეთ ცდილობს გაქცევას და რა უნდა ქნან ჩემპიონატში მოთამაშე კლუბებმა? თუ ვერ გავლენ ჩემპიონათა ლიგისა და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპებზე, მაშინ არც ფული ექნებათ, არც შესაფერისი სტადიონები და აღარც მოტივაცია.

**— შოტლანდიასთან თამაშისას ძალიან კარგად ითამაშეს სწორედ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, რომელთა გვარებიც არაერთხელ გვსმენია პირადად თქვენგან...**

— ძალიან მიხარია, რომ ყენიას, მჭედლიძისა და მაკარიძის შესახებ პირველად ჩემგან გაიგეს. და არა მარტო ისინი, მე ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი მყავს. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვამბობდი, რომ ისინი ქართული ფეხბურთის მომავალი არიან, თუმცა მაშინ ბევრმა არ დამიჯერა. დღეს კი მათ ჩემი ეს მოსაზრება საქმით დაამტკიცეს.

**ნინო სილაგაძე**

# ავიაციამ მსაჯი დაბომბა

## სტუდენტურმა დიპლომატიამ მოგება გამოიღო

4 ნოემბერი. თბილისი

**თსუ 87:83 ავიამშენი**

*19:24 31:19 23:14 14:26*

**თსუ:** ჩიტაშვილი (6), ხეცურიანი (16), ფანჩულიძე (32), ტყეშელაშვილი (3), მათიაშვილი (15 ქულა, 17 მოხსნა); კეიდია (15), ყველაშვილი, კობრეიძე

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (19), კვიმსაძე (4), ტულუში (19), ნინიაშვილი (15), როდუმტა (4); მინაშვილი (9), ხოშტარია (8), შანიძე (5), სუხიშვილი, ბარბაქაძე, ბერაია, იმნაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**ვითა 65:62 დინამო**

ძირითადი დრო 54:54

*12:19 21:13 15:10 12:6 11:8*

**ვითა:** მარხვაშვილი (5), მ. ბერიშვილი (10), მარკოიშვილი (4), ბეჟანიშვილი (20), ბერძენიშვილი (11); ბ. ბერიშვილი (7), ნ. ნოზაძე (6), ლ. ნოზაძე (2)

**დინამო:** ჟლენტი (14), გულისაბედაშვილი (13), ლაფანაშვილი (14), ახალკაცი (8), ათანელაშვილი (2); სიგუა (7), ფაიქრიძე (4), მაისურაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გებადავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი



**90-იანი** წლების საკალათბურთო მუშტი-კრივი რომ გვახსოვს, სპორტის სასახლეში მომხდარი გუშინდელი ამბავი როგორ გაგვიკვირდება, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ: უცნაური ტური იყო.

სხვაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მოედანზე დამყარებული წესრიგი რომ ამ ფედერაციის მთავარი მონაპოვარია, ყველას მოეხსენება. კარგა ხანია, მოედანზე გამართული დაკა-დაკა აღარავის უნახავს, არადა, დრო იყო, უმუშტი-კრივოდ კვირა არ ჩაივლიდა. მთლად ძველებურად დაუნდობელი ჩხუბი არც გუშინ მომხდარა, მაგრამ „ავიატორთა" აყალმაყალი ამ „მშვიდობიანობის" დროს გვარიანად ეფექტური გამოჩნდა.

დამთავრდა თუ არა ტურის ცენტრალური მატჩი, „ავიატორები" მსაჯ დავით არეშიძეს მისცვივდნენ და გამშველებლებს რომ არ ეყოჩაღათ, ახალგაზრდა არბიტრს გვარიანი პრობლემები შეექმნებოდა. სხვანაირად კი მიზანში მოურტყმელი წიხლი და მუშტი ვიხილეთ, ბილწი სიტყვების კორიანტელზე კი აღარაფერს ვამბობთ.

რაღა მიხვედრა გჭირდებათ — უკვე ცხადია აყალმაყალის მიზეზი: „ავიამშენი" თსუ-სთან დამარცხდა და ამაში წაგებულებმა მსაჯი დაადანაშაულეს. ცოდვას ვერ ვიტყვით, მატჩის ბოლო წამებზე სტუდენტების ფარქვეშ შეჭრილ „ავიატორთა" ლიდერ კოტე ტულუშს აშკარად ეუხეშნენ, მაგრამ მსაჯები დუმდნენ... ვიცე-ჩემპიონები მანამდეც უკმაყოფილოები იყვნენ მსაჯობით და ამ ეპიზოდმა მათში განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია. საბოლოოდ სალმა აზრმა გაიმარჯვა და შემდგომი შფოთი მშვიდობიანად ჩაიფარცხა.

შესაძლოა, მსაჯი მართლაც შეცდა და ბოლო ჯარიმა ვერ შენიშნა, მაგრამ როცა ფავორიტი გქვია და ამბიციაც მოჭარბებული გაქვს, საქმე ერთ სასტვენამდე არ უნდა მიიყვანო. შემადგენლობის მხრივ უპირატესობა „ავიამშენს" ჰქონდა და ალბათ ესეც იყო ლევან მოსეშვილის გუნდის წაფორხილების მიზეზი — ფავორიტმა იოლი გამარჯვების მოლოდინში სრული მობილიზება ვერ შეძლო და დაისაჯა.

საგულისხმო რამ ითქვა ამ შეხვედრის წინასამატჩო პრესკონფერენციაზე. თსუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა შანსები 80/20-ზე შეაფასა მეტოქის სასარგებლოდ, რაზეც „ავიამშენის" კაპიტანმა ირაკლი ხოშტარიამ უპასუხა: თქვენ სულ ეგრე ხართ, ამბობთ, თითქმის უშანსოდ ვართ და თამაში რომ დაიწყება, ბრძოლას გაგვიმართავთ. გამოდის, „ავიატორები" მეტოქის წინასამატჩო დიპლომატიას ჩასწვდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, საპირისპირო ნაბიჯები არ გადაუდგამთ.

თამაში ფიცხელ ბრძოლაში კი დაიწყო, მაგრამ მეორე მეოთხედიდან თსუ-ს უპირატესობა გამოიკვეთა. რიჩარდ მათიაშვილი „ავიატორთა" მაღლებს ფარქვეშ ეტოქებოდა და ამაში მას ირაკლი კეიდიაც მშვენივრად ეხმარებოდა, უკანა ხაზში კი თსუ ყველაფერს დაეპატრონა. შიო ხეცურიანი ჩვეულად ცბიერად იპარებოდა ფარქვეშ, ხოლო მიხეილ ფანჩულიძე პირდაპირ ტარანზე მიდიოდა და თუ შედეგიანად არ აგვირგვინებდა შეტევას, მეტოქეს აიძულებდა, დაჯარიმებულიყო.

პირველი ტაიმის შემდეგ სტუდენტებმა მთლად აიშვეს. კეიდიამ, ხეცურიანმა და ფანჩულიძემ „ავიატორთა" ფარქვეშ მისასვლელი გზები გაიბილიკეს და 11:0 მოგებული სამწუთეულის შემდეგ გადამწყვეტ მეოთხედს 16-ქულიანი ლიდერობით შეხვდნენ.

განახლდა თამაში და მათიაშვილმა მე-4 პერსონალური მიიღო, კეიდია კი სულაც გავარდა მოედნიდან. „ავიამშენმა" თამაშის ხსნა დაცვით განიზრახა და ყველაფერი მშვენივრად გამოუვიდა. საკუთარ ზონაში შეკეტილი „ავიატორები" მედგრად იცავდნენ თავს და ჩაჭრილი თუ სტუდენტთა მიერ აცილებული ბურთები მყისიერად გადაჰქონდათ შეტევაში. მოსეშვილის გუნდმა უსასტიკესი გაქცევა მოუწყო სტუდენტებს — სამწუთიანი მონაკვეთი 17:2 მოიგო და საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე ანგარიში გაუთანაბრა — 79:79.

„ავიამშენმა" აქ ამოისუნთქა. იფიქრა, თამაში გადავარჩინეო, მაგრამ თსუ დანებებას არ აპირებდა. გავარდნის ზღვარზე მყოფმა მათიაშვილმა საჯარიმოები ჩააგდო, იქით 4-წუთიანი შესვენების შემდეგ პირველად გაჭრა მეტოქის დაცვა ფანჩულიძემ და სირენამდე წუთით ადრე თსუ 83:81 დააწინაურა.

„ავიატორებმა" საპასუხო შეტევა გააცუდეს — ბუბა კვიმსაძემ სამქულიანი აცილა და დაცვაში ნაყოჩაღევი მიხეილ ჩიტაშვილი საჯარიმოს ხაზზე დადგა და ერთი ჩააგდო. მეორე ჯერზე კვიმსაძე ზუსტი იყო — თუმცა ფარქვეშიდან ჩააგდო და „ავიამშენი" სტუდენტებს ქულით მიუახლოვდა, 83:84.

სირენამდე 30 წამით ადრე თსუ-მ შეტევა წამოიწყო, მაგრამ „ავიატორებმა" კბილებით დაიცვეს საკუთარი ფარი და დასრულებამდე 9 წამით ადრე ბურთიც მოიპოვეს. სწორედ ეს ბოლო შეტევა იყო, როცა ფარქვეშ შესულ ტულუშს სტუდენტებმა საეჭვო მოძრაობით ბურთი გააგდებინეს, რასაც „ავიატორთა" პროტესტი მოჰყვა, საფინალო სირენის შემდეგ კი — დიდი აყალმაყალი და გაწევ-გამოწევა.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა გუშინდელი მეორე მატჩის ფინალიც, მაგრამ „ვითა" — „დინამოს" მატჩს გაწევ-გამოწევა არ მოჰყოლია. მას მოჰყვა ის, რაც კალათბურთს უხდება და ინტერესს ერთიორად მატებს — ოვერტაიმი.

გასაკვირია, მაგრამ ასეც მოხდა: აუტსაიდერად შერაცხულმა „დინამომ" ფავორიტ „ვითას" გვარიანი ბრძოლა გაუმართა და ფარქვეშ შეჭრილ გამოცდილ არჩილ ჟლენტს ძირითადი დროის ბოლო წამზე რომ არ აეცილებინა, სენსაციაც დაფიქსირდებოდა, მაგრამ...

**ირაკლი პერტაია**

# მაკაბის სენსაცია გაუცივდა

3 ნოემბერი. რუსთავი

**ენერჯი ინვესტი 101:92 მაკაბი**

*26:24 17:19 28:16 30:33*

**ენერჯი ინვესტი:** გამყრელიძე (23), რივერსი (30 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ბოისა (5 ქულა, 11 მოხსნა), ბაბიაშვილი (8 ქულა, 11 მოხსნა), სტეფანოვი (23 ქულა, 8 მოხსნა); დიდია (10), ლეჟავა (2), ჭოჭუა

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (17 ქულა, 7 პასი), დ. ბერიშვილი (6), კორკოტაძე (8), ს. შერმადინი (18 ქულა, 8 მოხსნა), გ. შერმადინი (25 ქულა, 18 მოხსნა, 5 დაფარება); სორდია (13), კოლუაშვილი (4), ვაშაკიძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ძმები ბერიშვილების შემატების შემდეგ „მაკაბი" ერთიორად სახიფათო გახდა საქართველოს ჩემპიონატის ნებისმიერი გუნდისთვის, თვით ჩემპიონ „ენერჯი ინვესტისთვისაც" კი. აქამდე ჯამლეთ ხუხაშვილის გუნდი მხოლოდ ერთი კაცით, 218-სანტიმეტრიანი გიორგი შერმადინით თუ შეაშფოთებდა მეტოქეს, ახლა კი „მაკაბისგან" სხვა მხრიდანაცაა ხიფათი მოსალოდნელი. ეს გუნდი აშკარად იმსახურებს პატივისცემას.

შაბათის რუსთავულ შეხვედრაში ფავორიტად თავისთავად „ენერჯი ინვესტი" ითვლებოდა, ეს რუსთაველთა თამაშში და ქცევაშიც იგრძნობოდა. მასპინძლები თავისუფლად და დაუძაბავად თამაშობდნენ და ალბათ ფიქრადაც არ უშვებდნენ იმ აზრს, რომ „მაკაბის" შეეძლო, კიდევ ერთი სიურპრიზის გამოცხობა და „ავიამშენის" დამარცხების შემდეგ რუსთაველთა გაწბილებაც.

„მაკაბიმ" ეს თითქმის შეძლო მიუხედავად იმისა, რომ ტყუპმა ბერიშვილებმა თავიანთი საუკეთესო მატჩი ვერ ჩაატარეს — ირაკლის კიდევ არა უშავდა, დათო კი ინერტულად გამოიყურებოდა — სტუმრებმა მაინც ბოლო წუთამდე გააყოლეს მატჩს დაძაბულობა ისევ და ისევ გიორგი შერმადინის წყალობით.

რუსთაველებს ჰყავთ ბელტონ რივერსი და იოვან სტეფანოვი, მაგრამ პირველ ტაიმში იყო ეპიზოდები, როდესაც შერმადინი ყველაზე მეტად ბრწყინავდა და თავისი ქულა-მოხსნა-დაფარებებით „მაკაბის" რუსთავულ შეტევებში ჩაძირვის საშუალებას არ აძლევდა. ერთხელ მან სტეფანოვს თავზე გადაატენა ბურთი, შემდეგ შეტევაში კი ულამაზესად დაუფარა მისთვის სამაგიეროს გადახდის წყურვილით „მაკაბის" ფარისკენ შემართულ სერბს. შერმადინმა პირველ ტაიმში 18 ქულა, 13 მოხსნა და 4 დაფარება მიითვალა და უფროსი ძმის, სოსოს დახმარებით ორჯერ დააწია თავისი გუნდი ჯერ პირველ, შემდეგ კი მეორე მეოთხედში 10 ქულით დაწინაურებულ „ენერჯი ინვესტს".

მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა. მეორე ტაიმში რუსთაველებმა შესამჩნევად შეზღუდეს სტუმართა ლიდერის ფარქვეშა ბატონობა. სტეფანოვი შერმადინს აქტიურად ეთამაშებოდა დაცვაში და დროდადრო რეზო დიდიასაც იხმარდა. მართალია, მას ერთხელ სახეში შერმადინის იდაყვიც მოხვდა — დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ სერბი მთელი ტანით ჰაერში აიწია და ფიცარნაგს დაენარცხა — მაგრამ სამაგიეროდ, რუსთაველებმა ბოლოს და ბოლოს მოახერხეს 10 ქულაზე მეტით დაწინაურება. პირველი ტაიმის 43:43 დამთავრების შემდეგ მათ მესამე პერიოდი 28:16 მოიგეს და მეოთხეში 17 ქულითაც დაწინაურდნენ. ჩანს, აქ მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და მეტოქეს აცაბაცა თამაშში აჰყვნენ. „მაკაბი" კი დანებებას სულაც არ აპირებდა. შერმადინი ქულებს ველარ იხვეჭდა, მაგრამ სამაგიეროდ, ირაკლი ბერიშვილმა გაისწორა სამიზნე. ანატოლი ბოისამ მსაჯ დავით ბერეკაშვილს ტექნიკური დასტყუა და ირაკლი ბერიშვილმა ორი საჯარიმოთი 4 ქულამდე შეამცირა სხვაობა, როდესაც მატჩის დამთავრებამდე ორი წუთიც აღარ რჩებოდა. აქ რუსთაველმა ლაშა გამყრელიძემ უმნიშვნელოვანესი სამიანი ჩააგდო და 91:84 დააწინაურა თავისი გუნდი. არც აქ მომკვდარა ინტრიგა. ბერიშვილმა 44 წამით ადრე სამიანით კიდევ ერთხელ შეამცირა სხვაობა 4 ქულამდე — 90:94. მეტი კი ველარ შეძლეს სტუმრებმა და საპატიო სხვაობით დათმეს ეს საინტერესო მატჩი.

**ირაკლი ფირაშვილი რუსთავიდან**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფაჩულია შუა ნოემბრამდე უქმობს, ატლანტა კი დროს არ კარგავს



კევინ გარნეტმა თავისი კარიერის ბოსტონური ეპოქა 22 ქულით და 20 მოხსნით დაიწყო

2 ნოემბერი

**ატლანტა 101:94 დალასი**

ატლანტა: ლ. ჯონსონი (8), ა. ჯონსონი, ჯ. ჯონსონი (28), მ. უილიამსი (16), სმიტი (18 ქულა, 11 მოხსნა); ლუ (14), ჰორფორდი (9), შ. უილიამსი (6), ჩილდრესი (2), ვესტი

**ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია**

დალასი: ჰარისი (11), ჯონსი (2), სტეკჰაუსი (5), ნოვიცკი (28), დიოპი (4); ტერი (20), ბარეა (14), ბასი (10), ჰასელი

„ატლანტა ჰოქსს“ 1999 წლის შემდეგ არ მოუგია სადებიუტო მატჩი და, სხვათა შორის, მას აქეთ პლეი ოფშიც ალარასდროს გასულა. ახლა „ქორებმა“ სეზონის პირველ თამაშში წინა რეგულარული ჩემპიონატის რიხინით მომგებ „დალასს“ აგემეს მარცხი და ამით დიდადაც გაამაყდნენ.

„ჩვენი გუნდი გაიზარდა — ამბობდა ნამატჩევს გამარჯვებულთა თავკაცი მაიკ ვუდსონი — ჩემი მოთამაშეები უკვე იწყებენ იმის გააზრებას, თუ რა ძალას წარმოადგენენ ამ ლიგაში.“

„ატლანტას“, რაღა თქმა უნდა, ჯო ჯონსონმა ულიდერა, ვისი წყალობითაც მასპინძლებმა პირველივე ტაიმში სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს. მესამე მეოთხედში 16-ქულიანი სხვაობა რომ გააბათილა „დალასმა“, ყველამ იფიქრა, „ატლანტას“ ის დაემართება, რაც ამ წლებში გამუდმებით ემართებოდა და ამ თამაშსაც დათმობსო, მაგრამ პირიქით კი მოხდა. „ჰოქსმა“ დასკვნით 12-წუთეული 33:25 მოუგო ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს.

სამწუხაროდ, ამ გამარჯვებამ ზაზა ფაჩულიას გარეშე ჩაიარა. ატლანტელთა ქართველ ცენტრს მარცხენა მუხლი აწუხებს. მისი ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და ზაზა სავარაუდოდ, შუა ნოემბრამდე ვერ შეძლებს თამაშს. მაგრამ, აგერ თავადაც ხედავთ, რომ „ატლანტა“ მის გარეშეც არ თამაშობს ურიგოდ.

2 ნოემბერი

**ბოსტონი 103:83 ვაშინგტონი**

ბოსტონი: პირსი (28), გარნეტი (22 ქულა, 20 მოხსნა, 5 პასი, 3 ჩაჭრა, 3 დაფარება), ალენი (17), რონდო (15)

ვაშინგტონი: არენასი (21), ბატლერი (18)

**კლივლენდი 110:106 ნიუ იორკი**

კლივლენდი: ჯეიმსი (45 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), გიბსონი (24)

ნიუ იორკი: კროუფორდი (25), რენდოლფი (21 ქულა, 14 მოხსნა), რობინსონი (19), კარი (18)

**ფინიქსი 98:119 ლეიკერსი**

ფინიქსი: ბარბოსა (23), ნეში (19), მერიონი (14 ქულა, 10 მოხსნა)

ლეიკერსი: რადმანოვიჩი (19), ბრაიანტი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ინდიანა 87:85 მაიამი**

ინდიანა: გრეინჯერი (25), დიოგუ (16), დანლივი (15)

მაიამი: კუკი (17), დევისი (13 ქულა, 14 მოხსნა)

**ორლანდო 92:116 დეტროიტი**

ორლანდო: ლუისი (21), თურქოღლუ (17), ჰოვარდი (16 ქულა, 13 მოხსნა)

დეტროიტი: მიურეი (19), ბილაფსი (18), პრინსი (17)

**შარლოტი 109:99 მილუოკი**

შარლოტი: ფელტონი (26 ქულა, 13 პასი), ვოლესი (22 ქულა, 10 მოხსნა), რიჩარდსონი (21)

მილუოკი: რედი (21), უილიამსი (20)

**ნიუ ჯერსი 69:106 ტორონტო**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (27)

ტორონტო: ბარნანი (21), ბოში (15), დიქსონი (14)

**მინესოტა 91:99 დენვერი**

მინესოტა: მაკკანტსი (23), ჯეფერსონი (16 ქულა, 13 მოხსნა)

დენვერი: ენტონი (33), აივერსონი (24), კემბი (14 ქულა, 21 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 113:93 პორტლენდი**

ნიუ ორლეანი: პოლი (19), სტოიაკოვიჩი (18)

პორტლენდი: როი (23), როდრიგესი (14)

**სან ანტონიო 96:80 საკრამენტო**

სან ანტონიო: დანკანი (15 ქულა, 10 მოხსნა), უდოკა (14)

საკრამენტო: მარტინი (22), სალმონსი (14)

**ჩიკაგო 85:96 ფილადელფია**

ჩიკაგო: გორდონი (25), ტომასი (21 ქულა, 12 მოხსნა), ნოჩიონი (15)

ფილადელფია: მილერი (25), იგუდალა (22 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი 120:114 გოლდენ სტეიტი**

კლიპერსი: კამანი (26 ქულა, 18 მოხსნა), მობლი (21), ტომასი (20)

გოლდენ სტეიტი: აზუბუკე (33), დევისი (22)

3 ნოემბერი

**ვაშინგტონი 82:94 ორლანდო**

ვაშინგტონი: ბატლერი (23), ჯემისონი (20), არენასი (10)

ორლანდო: თურქოღლუ (25), ლუისი (18), ჰოვარდი (15 ქულა, 15 მოხსნა), ნელსონი (17)

**ფილადელფია 88:93 ნიუ ჯერსი**

ფილადელფია: იგუდალა (16)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (22), კარტერი (18), კიდი (16 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი)

**მემფისი 111:121 ინდიანა**

მემფისი: ლოური (19), გასოლი (18 ქულა, 10 მოხსნა)

ინდიანა: დანლივი (27), გრეინჯერი (23), ტინსლი (14), ონილი (13)

**დალასი 123:102 საკრამენტო**

დალასი: ჰოვარდი (27), ბარეა (25), ნოვიცკი (24), ტერი (16)

საკრამენტო: მარტინი (28), სალმონსი (27), გარსია (23)

**მილუოკი 78:72 ჩიკაგო**

მილუოკი: რედი (27), ძიანლიანი (16)

ჩიკაგო: გორდონი (15), სმიტი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**ჰიუსტონი 89:80 პორტლენდი**

ჰიუსტონი: მინი (21 ქულა, 12 მოხსნა), მაკგრეიდი (20), ჯეიმსი (17)

პორტლენდი: როი (23), ოლდრიჯი (20), ვებსტერი (15)

**იუტა 133:110 გოლდენ სტეიტი**

იუტა: უილიამსი (30 ქულა, 11 პასი), ოქური (28), ბრიუერი (19)

გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (38), აზუბუკე (17), ბიედრინსი (14)



ნიუჯერსელმა ჯეისონ კიდმა შაბათს „ფილადელფიასთან“ 16 ქულით, 14 მოხსნითა და 10 პასით კარიერის 88-ე სამმაგი დუბლი შესრულა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოლოვინა კვებეკში ახტა და პეკინში ჩახტა

**კანადის** ქალაქმა კვებეკმა 29 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა ბატუსტიტებს შორის. ეს ტურნირი ერთადერთია, რომელზეც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები თამაშდებოდა.

საქართველოს სახელს კანადაში 6 სპორტსმენი იცავდა — ლუბა გოლოვინა, სოფო გულიაშვილი, თენგიზ კოშკაძე, ზურაბ ჭყონია, ოლეგ კოლოსოვი და გიორგი მარქარიანი. ნაკრებს თან მწვრთნელები ზაურ სულაშვილი და ვლადიმერ გოლოვინი ახლდნენ. ქართულ დელეგაციასთან ერთად იყო ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რუსუდან ხოფერია, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯის მოვალეობას ასრულებდა.

წარმატებული გამოდგა ახალგაზრდა ლუბა გოლოვინას გამოსვლა. ლუბამ მე-20 ადგილი დაიკავა და პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია დაისაკუთრა, რაც უდავოდ დიდი მიღწევაა ამ სპორტსმენისთვის. გოლოვინამ ამ გამარჯვებამდე ნაბიჯ-ნაბიჯ იარა. ჯერ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა პატარებს შორის და ახლა სანუკვარ მიზანსაც მიაღწია.

სულ, კაცებშიც და ქალებშიც, პეკინის 16-16 ლიცენზია თამაშდებოდა. ავტომატურად საგზურს პირველი რვეული ინაღდებდა, ხოლო თუ ლიცენზია მოპოვებული ქვეყნის წარმომადგენელი, ვთქვათ, მე-9 ან მე-10 ადგილზე იყო, მას პეკინის ბილეთი არ ერგებოდა იმის გამო, რომ ერთი ქვეყნისთვის მხოლოდ კინკილა საგზური თამაშდებოდა. ლუბას მე-20 ადგილი საპეკინო ამიტომაც გამოდგა. სხვა ვერავინ აჩვენა მსგავსი შედეგი. დანარჩენთაგან ყველაზე მეტად თენგიზ კოშკაძის ეიმედებოდათ, მაგრამ მას ქართველთაგან უარესი ადგილი ერგო და 95 გამომსვლელში 90-ე პოზიცია დაისაკუთრა. ზურა ჭყონია 65-ე, ოლეგ კოლოსოვი 67-ე, ხოლო გიორგი მარქარიანი 84-ე იყო. სოფო გელაშვილსაც ხელი მოეცარა. არადა, მისგანაც ლიცენზიას ელოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამ გოგოს თავიდან საპეკინო შანსები ნამდვილად ჰქონდა. რაც შეეხება სინქრონულ წყვილებს, აქ გოლოვინა-გულიაშვილის დუეტი მე-18-ზე გავიდა 20 გამომსვლელს შორის, კოლოსოვი-მარქარიანის დუეტმა 22-ე ადგილი დაიკავა, ჭყონია-კოშკაძის მონაგარი კი 28-ე პოზიცია იყო.

**ლევან მაისურაძე**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



# ლიგამუსური ამბავი

**გასულ** კვირას საქართველოს ჩემპიონატის ბოლო, მეათე ტურის მატჩები თბილისის სამ სხვადასხვა მოედანზე გაიმართა. ლოკომოტივის სათადარიგო სტადიონზე ერთმანეთს „დინამო“ და „ლიგამუსი“ დაუპირისპირდნენ, „შევარდენზე“: „ლელო“ — „არმაზი“, ხოლო ავჭალაში მდებარე „სინათლის“ სტადიონზე თსუ — „ყოჩების“ შეხვედრა გაიმართა. სამივე მატჩი 16 საათზე დაიწყო იმ მიზეზით, რომ სატურნირო ცხრილში თანაბარქულიან აუტსაიდერებს წინასწარ სხვა შეხვედრების შედეგები არ სცოდნოდათ. ჩემპიონატის სამ ლიდერს პლეი ოფში თამაში გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ მათ შორის მეორე და მესამე ადგილოსნების ვინაობაც გასარკვევი იყო, ხოლო „ლელოს“ პირველ ადგილს ვერავინ შეეცილებოდა.

ამჯერად „დინამო“ — „ლიგამუსის“ მატჩის მიმოხილვას შემოგთავაზებთ. თამაში საკმაოდ სანახაობრივი და უხვქულიანი გამოდგა. ორივე გუნდი მთელი შეხვედრის განმავლობაში უმეტესწილად ხელდახელ რაგბობდა და ორივე მათგანს შეეძლო თამაშის მოგება.

საბოლოო ჯამში მაინც უფრო კლასით მაღალმა გუნდმა მოიგო და ტურნირში მეორე ადგილიც დაიბევა. ქართული რაგბის ქომაგი ალბათ მიხვდა, რომ „ლიგამუსზეა“ ლაპარაკი, რომელიც ოდენ სახელშეცვლილი „ლოკომოტივია“.

მატჩი თავიდანვე ბურთის ხაზზე ჩათამაშებით და კომბინაციური შეტევებით დაიწყო. პირველი ნახევრის მეოცე წუთამდე ამგვარი რაგბობით შეტევაში გართულ „ლიგამუსს“ 22-ე წუთზე მეტოქემ ბურთი ჩაუჭრა და ფეხით საკუთარ თავს ზედიზედ ორი პასი გაუკეთა, რის შემდეგაც ეს ბურთი ხვიჩიას ჩაუვარდა ხელში, მასაც ლელოს დადება აღარ გასჭირვებია. ავლახაშვილი გარდასახვის დროს ზუსტი იყო და ანგარიში 7:0 გახდა.

ამას წითლებმა მალევე კვინიხიძის ზუსტი საჯარიმოთი უპასუხეს — 7:3. „ლიგამუსი“ გავეშებით მიეძალა მეტოქეს და მრავალფაზიანი შეტევაც მოაწყო მოწინააღმდეგის ლელოს მისადგომებთან, მაგრამ უკვე შიგ შესულებმა დამიწება ვერ მოახერხეს. ლურჯების საპასუხო კომბინაციური შეტევა ლელოთი და ზუსტი გარდასახვით დაგვირგვინდა — 14:3. აქვე ნონო ანდღულაძემ ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქმნა. თითქოს „დინამოს“ სენსაცია უნდა მოეხდინა, მაგრამ პირველი ნახევრის ბოლო წუთებზე თემურ ბენდიაშვილის ბიჭებმა ალყა შემოარტყეს მეტოქეს და ტაიმის ძირითადი დროის გადაცდენილ წუთებზე შერკინების მეშვეობით ლელო გაიტანეს, კვინიხიძე ამჯერადაც ზუსტი იყო 14:10.

გუნდები შესვენებაზე „დინამოსთვის“ საჩოთირო ანგარიშით გავიდნენ.

მეორე ნახევრის პირველივე შეტევა „ლიგამუსმა“ ლელოდ აქცია და შეხვედრაში პირველად დაწინაურდა — 15:14. ამან უფრო გააბრაზა საქართველოს ჩემპიონატის აუტსაიდერი და ზედიზედ გატანილი ორი ჯარიმით ისევ დაწინაურდნენ ლურჯფორმიანები — 20:15. ყოფილ „ლოკომოტივს“ სულზე მოუსწრო ზვიად მაისურაძის ლელომ, რომელიც ხანგრძლივი შეტევის შემდეგ დაიდო — 20:22. ამ ლელომ კი საბოლოოდ გატეხა ვაჟკაცურად მებრძოლი დინამოელები, ისინი მატჩის დამთავრებამდე ორჯერ კიდევ დალელოვდნენ და საბოლოო ჯამში დამარცხდნენ კიდეც ანგარიშით 20:32. „ლიგამუსმა“ შეხვედრის დასრულების შემდეგ საპატიო დერეფანშიც გაატარა მეტოქე და ამასთან ერთად ჩემპიონატსაც გამოთიშა „დინამო“.

დანარჩენი ორი შეხვედრა კი ასეთი ანგარიშით დასრულდა. არმაზი ლელოსთან დამარცხდა 0:24, ხოლო სტუდენტებმა პატარა სენსაცია გამოაცხვეს, „ყოჩებს“ 24:21 მოუგეს და პლეი ოფის მეოთხე საგზური დაისაკუთრეს.

**ზურაბ მიგრიაული**

4 ნოემბერი

**დინამო 20:32 ლიგამუსი**
**ლელო 24:0 არმაზი**
**თსუ 24:21 ყოჩები**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 10 | 8 | 0 | 2 | 16 |
| ლიგამუსი | 10 | 6 | 0 | 4 | 12 |
| ყოჩები | 10 | 6 | 0 | 4 | 12 |
| თსუ | 10 | 4 | 0 | 6 | 8 |
| დინამო | 10 | 3 | 0 | 7 | 6 |
| არმაზი | 10 | 3 | 0 | 7 | 6 |

# დიდდება ვარაში

**საფრანგეთის** მსოფლიოს თასის შემდეგ რაგბის სპეციალისტები ვარაუდობენ უკვე სახელიან მწვრთნელთა კარუსელს. მაგალითად, შესაძლებელია, რომ მიუხედავად ინგლისელთა დამრიგებლის ბრაიან ეშტონის გახანგრძლივებული კონტრაქტისა, მაინც, მის მაგივრად უფრო „ვარდების“ თამაშის სტილის შესაფერისი ჩემპიონატის ტრიუმფატორი ჯეკ ვაიტი მოვიდეს, ან უელსის მწვრთნელის გარეთ ჯენკინსის ნაცვლად ცბიერად წოდებულმა ედი ჯონსმა უხელმძღვანელოს ბრიტანელებს. ეს სავარაუდო ცვლილებები ფანტაზიის ნაყოფი არ არის. ამ ტრანსფერების განხორციელებისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა.

გარდა ამ ორი ბობოლა სარაგბო ქვეყნისა, ცვლილებებია მოსალოდნელი დიდი ათეულის დანარჩენ რვა წარმომადგენელთა შორისაც. ჯერჯერობით თავიანთ პოსტებზე რჩებიან ფრანკ ჰედენი (შოტლანდია) და ედი ოსალივანი (ირლანდია). ფრანგთა თავკაცი ბერნარდ ლაპორტი მარკ ლიკრემონტმა ჩაანაცვლა, ხოლო იტალიის ნაკრებს პიერ ბერბიზიერის მაგივრად ნიკ მალეტი გაწვრთნის.

ცვლილებებს ელიან ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და არგენტინის ნაკრებების ხელმძღვანელების თანამდებობაზეც. „კივების“ გრემ ჰენრი შესაძლოა, რობი დენისით შეცვალოს. „კენგურუ“ ჯონ კონოლი — დევიდ ნუკიფორათი, ხოლო კონოლის „პუმების“ მარსელო ლოფრედას ნაცვლად თავკაცობას უპირებენ.

სამხრეთაფრიკელთა მთავარი მწვრთნელის ვინაობა კი ჯერჯერობით გაურკვეველია.

**ზურაბ მიგრიაული**



ბრაიან ეშტონს ამაგს არ უფასებენ

მძლეოსნობა




# პოლა დაბრუნდა

**ქალთა** მარათონულ რბენაში მსოფლიოს ინგლისელი რეკორდსმენი პოლა რადკლიფი ისევ დაუბრუნდა სარბენ გზებსა თუ ბილიკებს და ორწლიანი შესვენების შემდეგ ნიუ იორკის სახელგანთქმული მარათონის ქუჩებს დაადგა.

დაადგა და მოიგო. როგორც სჩვეოდა, პოლამ ისევ ისე, ძველებურად გააკეთა ყველაფერი. მერე რა, რომ ბავშვი შემეძინაო, როგორც ადრე დავრბოდი, ახლაც ისე დავრბივარო და მანჰენტენის ქუჩებში 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათში, 23 წუთსა და 9 წამში გალია.

პოლამ ეთიოპიელ გეტე ვამის უმძაფრეს ბრძოლაში აჯობა და გამარჯვება თავის ახალშობილ შვილს მიუძღვნა. მიუძღვნა და ალალად ეკუთვნის — 2003 წელს მსოფლიოს რეკორდის (2:15,25) დამმყარებულ პოლას დღესაც ბადალი არა ჰყავს და მისი მოცილე არც ნიუ იორკის ქუჩებში გამოჩნდა.

ეს ქალთა ამბავია, რაც შეეხება კაცებს, ნიუ იორკული მარათონი კენიელმა ლელმა მოიგო, რომელმაც ზემოთ ხსენებული მანძილი 2 საათში, 9 წუთსა და 4 წამში გაირბინა.

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩიკაგო. აშშ
## 23 ოქტომბერი — 3 ნოემბერი



დემეტრიუს ანდრადემ ამერიკული ოქრო დაამტკიცა

# უკუბი ამბავი

## უცხოური ციფრები და ქართული სიცარიელე

**გუშინ** ჩიკაგოში მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალები ჩატარდა. კარგად ვიცით, რომ საქართველოს ნაკრების წევრებმა ვერც გუშინდელ ბრძოლებში მიიღეს მონაწილეობა და ვერც წინა დღეს, ნახევარფინალებში. თენგიზ მესხაძის გუნდიდან სამეულს ვერავინ შესწვდა. ამასთან, სალიცენზიო შედეგიც — მეოთხედფინალი — სანატრელი გახდა. არადა, ამერიკულ რინგზე პეკინის 80 საგზური გათამაშდა.

ჩემპიონ-პრიზიორობის გარდა ჩინეთში გამოსვლა აქედანვე გაინაღდეს პირველი ცხრა წონითი კატეგორიის მეხუთე-მერვე ადგილზე გასულმა მოკრივეებმაც. ბოლო ორ წონაში კი ლიცენზიები მხოლოდ ოთხეულში შესულებს გადაეცათ.

ისევ ჩვენებურებს მივუბრუნდეთ. საქართველოს ნაკრები ჩიკაგოში ცხრა მოკრივით ჩავიდა და მათგან ყველაზე წარმატებულად ზვიად ხადურმა (48 კგ), ლევან ღვამიჩავამ (64კგ) და დავით წიკლაურმა (81 კგ) იკრივეს. ლიცენზიამდე სამივეს თითო მოგება დააკლდა.

პირველსავე წრეში გამოეთიშა ტურნირს ორი წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კახა ქვანია (69 კგ). თუმცა არ იქნება აქვე არ ვთქვათ, რომ მისი მეტოქე უძლიერესი ამერიკელი, დემეტრიუს ანდრადე იყო. ამ უკანასკნელის ძლევა ვერც ქვანიას შემდეგ შეძლო ვინმემ. საჩემპიონო გზიდან კი ყველაზე თანაბარი და დაძაბული ბრძოლა ანდრადეს სწორედ ჩვენებურთან გადახდა.

ფინალში გავიდა დავით წიკლაურის (81 კგ) მომგები არტურ ბეტერბიევიც, მაგრამ ეს რუსი საბოლოოდ მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა. კობა ფხაკაძის (57 კგ), ლევან ღვამიჩავასა (64 კგ) და გიორგი ნაკანის (75 კგ) მძლეველები კი მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი რუსებმა აჩვენეს, რომლებმაც მედლების და ლიცენზიების რაოდენობითაც ყველა უკან მოიტოვეს. ტურნირის მასპინძლები ორივე ფრონტზე მესამე ადგილს დასჯერდნენ. მედლებით მათ იტალიელებმა გაუსწრეს, ლიცენზიებით — ჩინელებმა. ბოლოს შევახსენებთ, რომ ამერიკულ მსოფლიოს ჩემპიონატს კუბის ნაკრების სახით დიდი ძალა აკლდა. კუბელებმა ტურნირს ბოიკოტი გამოუცხადეს.

**ოთარ ბაღლაძელიძე**

### მედალოსნები

**48 კგ**
1 შიმინგ ზუ (ჩინეთი)
2 ჰარი ტანამური (ფილიპინები)
3 ნორდინ ობაალი (საფრანგეთი)
3 ამნატ რენროენგი (ტაილანდი)

**51 კგ**
1 როშე უორენი (აშშ)
2 სომჯიტ იონგჟოპორი (ტაილანდი)
3 ვინჩენცო პიკარდი (იტალია)
3 სამირ მამადოვი (აზერბაიჯანი)

**54 კგ**
1 სერგეი ვოდოპიანოვი (რუსეთი)
2 ენხბატ ბადარ-უგანი (მონღოლეთი)
3 ჯო აროიო (პუერტო რიკო)
3 ჯოზეფ მიურეი (ინგლისი)

**57 კგ**
1 ალბერტ სელიმოვი (რუსეთი)
2 ვასილ ლომაჩენკო (უკრაინა)
3 იაკუპ კილიჩი (თურქეთი)
3 იან ლი (ჩინეთი)

**60 კგ**
1 ფრენკ გავინი (ინგლისი)
2 დომენიკო ვალენტინო (იტალია)
3 ალექსეი ტიშენკო (რუსეთი)
3 სონ გუკ კიმი (ჩრდ. კორეა)

**64 კგ**
1 სერიკ საპიევი (ყაზახეთი)
2 გენადი კოვალიოვი (რუსეთი)
3 მასაცუგუ კავაჩი (იაპონია)
3 ბრედლი სონდერსი (ინგლისი)

**69 კგ**
1 დემეტრიუს ანდრადე (აშშ)
2 ნონ ბონიუმნონგი (ტაილანდი)
3 ადემ კილიჩი (თურქეთი)
3 სილამუ ჰანატი (ჩინეთი)

**75 კგ**
1 მატვეი კორობოვი (რუსეთი)
2 ალფონსო ბლანკო (ვენესუელა)
3 სერგეი დერევიანჩენკო (უკრაინა)
3 არტიევ ბახტიარი (ყაზახეთი)

**81 კგ**
1 აბოს ატოევი (უზბეკეთი)
2 არტურ ბეტერბაევი (რუსეთი)
2 იერკებიან შინალიევი (ყაზახეთი)
3 დაუგირდას სემიოტასი (ლიტვა)

**91 კგ**
1 კლემენტ რუსო (იტალია)
2 რაჰიმ ჩახკიევი (რუსეთი)
3 ნიჟიატ იუსჰანი (ჩინეთი)
3 ჯონ მბიმა (საფრანგეთი)

**+91 კგ**
1 რობერტო კამარელი (იტალია)
2 ვიაჩესლავ გლაზკოვი (უკრაინა)
3 ისლამ ტიმურზიევი (რუსეთი)
3 ჟილეი ჟანგი (ჩინეთი)

### ლიცენზიები

*რუსეთი — 9; ჩინეთი — 7; აშშ და ტაილანდი — 5; იტალია, ინგლისი, ყაზახეთი და უკრაინა — 4; თურქეთი, საფრანგეთი და სომხეთი — 3; ვენესუელა, პუერტო რიკო, კოლუმბია და გერმანია — 2; უზბეკეთი, ფილიპინები, მონღოლეთი, ლიტვა, აზერბაიჯანი, იაპონია, ჩრდილოეთ კორეა, ირლანდია, პოლონეთი, შრი ლანკა, ინდოეთი, მექსიკა, ბულგარეთი, ირანი, კანადა, მოლდოვა, დომინიკის რესპუბლიკა, მაროკო, ხორვატია, ეგვიპტე და უნგრეთი — 1.*

### მედლები და ქვეყნები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 2 | ფილიპინები | 0 | 1 | 0 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | მონღოლეთი | 0 | 1 | 0 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | ვენესუელა | 0 | 1 | 0 |
| ჩინეთი | 1 | 0 | 4 | თურქეთი | 0 | 0 | 2 |
| ინგლისი | 1 | 0 | 2 | საფრანგეთი | 0 | 0 | 2 |
| ყაზახეთი | 1 | 0 | 2 | ლიტვა | 0 | 0 | 1 |
| უზბეკეთი | 1 | 0 | 0 | აზერბაიჯანი | 0 | 0 | 1 |
| ტაილანდი | 0 | 2 | 1 | იაპონია | 0 | 0 | 1 |
| უკრაინა | 0 | 2 | 1 | პუერტო რიკო | 0 | 0 | 1 |
| | | | | ჩრდ. კორეა | 0 | 0 | 1 |

# კალძაგეს ქამრები

**უელსელმა** ჯო კალძაგემ პირველი ტიტული 10 წლის წინ მოიპოვა და 17 წელია, რინგზე არ დამარცხებულა. ჯომ ამ უქმეებზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვების ერთ-ერთი უდიდესი მოკრივეა, როცა კვირას გამთენიისას მიკელ კესლერი მსაჯების ერთხმოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა და ქამრებიც გააერთიანა — მეორე საშუალო წონაში თავის WBO-ს ტიტულს, WBC და WBA-ც მიამატა, რითაც აღფრთოვანებაში მოიყვანა კარდიფის „მილენიუმზე" შეკრებილი 50 014 უელსელი.

ბრძოლა ორივე მოკრივემ ფრთხილად დაიწყო — არც ერთი არ აქტიურობდა და ერთმანეთის დაზვერვით უფრო იყვნენ დაკავებულნი. თუმც მესამე რაუნდიდან უპირატესობა დანიელმა იგდო ხელთ, მეტოქესთან ახლოს მიდიოდა, სადაც მარჯვენათი და განსაკუთრებით უძლიერესი აპერკოტით უელსელს მაგარ წნეხში აქცევდა.

თუმც კალძაგემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდი ჩემპიონია — მან მშვენივრად გაშიფრა მეტოქის სტილი და თავადაც ისე გადაეწყო, რომ უპირატესობა მოეპოვებინა. უპირველეს ყოვლისა, უელსელმა დისტანციის დაჭერა მოახერხა, რითაც აბსოლუტურად გამოთიშა ბრძოლიდან დანიელის აპერკოტი. გარდა ამისა, კალძაგე კარგად იყენებდა მარცხენა ჯებს, რომლითაც კესლერთან მანძილსაც ინარჩუნებდა და ქულებსაც რეგულარულად აგროვებდა.

დანიელმა ეს ბრძოლის შემდეგაც აღნიშნა:

„მან ტაქტიკურად დამჯაბნა. თითქოს ხელ-ფეხი გამიკრა — არაფერი გამომდიოდა. თან მისგან განსხვავებით, მე ვერ შევძელი გადაწყობა".

ბრძოლის უკანასკნელ მესამედში კესლერი ვა-ბანკზე წავიდა და ცდილობდა უელსელის კუთხეში მიმწყდევას, ერთი დარტყმით რომ გადაეწყვიტა გამარჯვებულის ბედი. თუმც კალძაგე მეტოქეს ადვილად გაურბოდა, მის გარშემო ცეკვავდა და იმავე ჯებით ქულებს შეუწყვეტლივ აგროვებდა. სწორედ ამიტომ არც არავის გაკვირვებია, რომ სამივე მსაჯმა — ორმა 116-114, ერთმა კი 117-111 ქულით — გამარჯვება უელსელს მიანიჭა.

კალძაგესთვის ეს პროფესიულ რინგზე მოპოვებული 44-ე გამარჯვება გახლდათ. უელსელს შემდეგში ბერნარდ ჰოპკინსთან უნდა დატაკება — ეს ჯოს დიდი ხნის ოცნებაა და საამისოდ ის არაფერზე არ არის უკან დამხევი:

„ყველა კოზირს მას მივცემთ — დანიშნოს ბრძოლის დრო, წონა და ადგილი. ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს სად და როდის ვიჩხუბებთ — თუ ჰოპკინსი ეგრე მოინდომებს, მისი სახლის უკანა ეზოში ჯახზეც თანახმა ვართ ჯოს უნდა მასთან დაპირისპირება და მგონი, ამდენი გამარჯვებით ეს უფლება დაიმსახურა" — განაცხადა კალძაგეს პრომოუტერმა ფრენკ უორენმა.

ჰოპკინსი ჯერ დუმილს ინარჩუნებს. ასე რომ, ვნახოთ, რა იქნება.

**კახა ლომჯაშვილი**



# პარიზული დავიდ-რაფაელიანი



დავიდ ნალბანდიანმა მიყოლებით ორი ევროპული მასტერსი მოიგო

**კაცები. მასტერსი**
პარიზი. საფრანგეთი. ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 2 082 500 ევრო

**მეოთხედფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 7:6 6:7 6:2; **რიშარ გასკე** (10, საფრანგეთი) — ენდი მიურეი (15, ბრიტანეთი) 6:3 0:6 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:4 6:2; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — ტომი რობრედო (8, ესპანეთი) 6:4 6:4

**ნახევარფინალი**

**ნალბანდიანი** — გასკე 6:2 6:4; **ნადალი** — ბაღდატისი 4:6 6:4 6:3

**ნახევარფინალი**

**ნალბანდიანი** — ნადალი 6:4 6:0

**ქალები**
კვებეკი. კანადა. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 175 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**ჟულია დიტი** (აშშ) — ვანია კინგი (აშშ) 6:4 3:6 6:4; **იულია ვაკულენკო** (3, უკრაინა) — ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი) 6:3 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (აშშ) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) 6:4 6:0; **ვერა ზვონარიოვა** (2, რუსეთი) — ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) 6:2 6:1

**ნახევარფინალი**

**ვაკულენკო** (3, უკრაინა) — დიტი (აშშ) 6:1 4:6 7:5; **დევენპორტი** (აშშ) — ზვონარიოვა (2, რუსეთი) 6:2 6:7 6:3

როგორც იქნა, საბოლოოდ გაირკვა იმ რვა ჩოგბურთელის ვინაობა, რომლებიც წლის შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშებენ. ეს ყველაფერი ამ უქმეებზე გაცხადდა, როცა შანხაიში წამსვლელი ბოლო ადგილი რიშარ გასკემ გაინაღდა.

არადა, პარიზის მასტერსის დაწყების წინ ორი ადგილი იყო თავისუფალი, რომელზეც პრეტენზიას ათამდე მეჩოგნე აცხადებდა. ეს სია წინა ტურნირის მიმდინარეობისას თანდათანობით გაიცხრილა, მეოთხედფინალებისთვის კი ჩინეთის ერთი ბილეთი ფერნანდო გონსალესმა მოიპოვა.

დარჩენილი ერთი ადგილისთვის ერთმანეთს გასკე, ენდი მიურეი და მარკოს ბაღდატისი ეცილებოდნენ. პირველ ორს მიზნისთვის რომ მიეღწია, ნახევარფინალში უნდა გასულიყო, კვიპროსელს კი პარიზშიც უნდა ემარჯვა და თან იმაზე ელოცა, გასკე ან მიურეი ფინალში ვერ მოხვედრილიყვნენ.

გასკესა და მიურეის მეოთხედფინალმა, რომელიც ძალიან დაძაბული და მეტად ლამაზი საცქერი გამოდგა, ბევრ კითხვას უპასუხა. ახალგაზრდა ვარსკვლავების ჯახში გადამწყვეტი ფაქტორი მშობლიური კედლები გამოდგა — პირწმინდად წაგებული მეორე სეტის შემდეგ ტრიბუნების მხარდაჭერით შეგულიანებულმა გასკემ შეძლო უტეხი შოტლანდიელის გატეხვა და ამით დიდი ნაბიჯიც გადადგა მასტერსის თასისკენ.

მიურეის კი ძვირად დაუჯდა სეზონის შუაწელის იძულებითი გაცდენა. მაჯის ტრავმის გამო ბრიტანელმა ხომ ვერც „როლან გაროსზე“ იჩოგნავა და ვერც უიმბლდონზე. ამის გამო შანხაიში მოსახვედრად ენდის სეზონის მიწურულს მოწყობილი სპურტიც არ ეყო.

ნახევარფინალებში გასკეს ბაღდატისის წაგება აძლევდა ხელს და ოცნება რაფაელ ნადალმა აუხდინა, რომელმაც კვიპროსელს უმძიმეს ბრძოლაში გამოგლიჯა გამარჯვება და 22 ივლისის შემდეგ თავის პირველ ფინალს ითამაშებს. ისე, თავიდან კუნძულელმა გაცილებით უკეთესად დაიწყო და მრავალფეროვანი თამაშით პირდაპირ სისხლი გაუშრო ესპანელ ვარსკვლავბიჭუნას. ბაღდატისი იმდენად არაორიგინალურად ჩოგნაობდა, რომ პირინეელის მთავარი იარაღი — უკანა ხაზიდან თამაშიც კი მინუსად უქცია. თუმცა, როცა ნადალს თამაშის წაგება არ უნდა და ბოლომდე ბრძოლის ხასიათზეა, თითქმის არასდროს აგებს. აქაც ასე მოხდა, როცა ესპანელმა მეორე სეტის შუაწელისთვის იმდენად დაღალა კვიპროსელი, რომ მისი ლამაზი თამაშისგან აღარაფერი დარჩა. სამაგიეროდ, ნადალი კორტზე ჩვეულად სხარტად მოძრაობდა, რის ლოგიკურ დასასრულადაც ესპანელის გამარჯვება იქცა.

ნამტჩევს ბაღდატისი აღფრთოვანებით საუბრობდა თავის მეტოქეზე და ამბობდა, რაფას დარ მებრძოლ მეჩოგნეს დღეს ვერსად ნახავთო:

„მასტერსის თასზე მოხვედრა რამდენი ხანია, გარანტირებული აქვს და მაინც ყველა გათამაშების დროს ბოლომდე იბრძვის. ყოველთვის 500 პროცენტით იხარჯება და ამის გამო არ შეიძლება, პატივი არ სცე, ის ნამდვილი მეომარია, რომელიც არასდროს არაფერს თმობს — მასთან ყოველი ქულის ასაღებად წელზე ფეხებს იდგამენ მისი მეტოქეები“.

ნადალმა მხოლოდ ის თქვა, სეზონის მაჟორულ ნოტაზე დამთავრება მინდა და პარიზში წარმატებული თამაში ამისკენ გადადგმული ნაბიჯიაო.

მეორე ნახევარფინალში კი ბრძოლის მაგვარიც ვერ ვიხილეთ, რადგანაც დავიდ ნალბანდიანმა უღვილესად გადაურბინა გასკეს. ამ დროისთვის ფრანგმა უკვე იცოდა, რომ ჩინეთში წასვლა განაღდებული ჰქონდა. ეგებ მაგიტომაც ვერ დაუდო გული ამ მატჩს და წააგო ასე უხეიროდ. ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ მისი კი არა, მთლიანად ფრანგული ჩოგბურთის საერთო წარმატება გახლდათ — ბოლო გალი, ვინც წლის შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშა, სებასტიან გროჟანი იყო, რომელმაც ეს 2001 წელს მოახერხა.

ნალბანდიანი კი ზედიზედ მეორე მასტერსს უმიზნებს. მან ორი კვირის წინ მადრიდშიც იხეირა და იქ მიყოლებით დასცა მსოფლიოს პირველი, მეორე და მესამე ნომრები, შესაბამისად, როჯერ ფედერერი, ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი. არგენტინელმა ფედერერი პარიზშიც გააკრა ბეჭებზე და არც ნადალის ხელმეორედ მიჩოგნვაზე იტყვის უარს, თუმც ესპანელს უფრთხის:

„მადრიდისგან განსხვავებით, აქ საფარი უფრო ნელია, რაც მას უპირატესობას მისცემს. თუმც ჩემი თამაში თავიდანვე თუ დავიჭირე, მაშინ რაფას მაგრად გაუჭირდება“.

გარდა ამისა, რეიტინგში ნალბანდიანი მეცხრე ადგილზე გამაგრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მასტერსის თასზე თამაშის მცირე შანსი კიდევ აქვს — თუ საუკეთესო რვაში მოხვედრილმა რომელიმე ჩოგბურთელმა ტრავმა მიიღო ან შანხაიში თამაშზე სხვა მიზეზის გამო თქვა უარი, მაშინ მის ადგილს სწორედ დავიდი დაიკავებს. თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, წლეულს ყველა ბობოლა ჯანზეა და მეტად დაეჭვოა, ნალბანდიანს ჩინეთში გადაფრენა მოუწიოს.

**კახა ლომჯარიძე**



**ევროპის გუნდური ჩემპიონატი**
**კრეტა. საბერძნეთი**
**27 ოქტომბერი — 7 ნოემბერი**

# რუსეთის თავი გაეზარდა

**მეექვსე** ტურში რუსეთის ნაკრებმა ისრაელის გუნდს 3:1 მოუგო და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. ახლა რუსებს 12 ქულა აქვთ და მეორეზე მყოფ სლოვენიას ორი ქულით სჯობნიან.

ქართველებმა შვედებს გაუყვეს ქულები და მე-17 ადგილი შეინარჩუნეს. პირველ დაფაზე ბაადურ ჯობავამ შავებით ემანუელ ბერგს მოუგო. მეორეზე ლევან ფანცულაია თეთრებით ევგენი აგრესტს დაუზავდა, მესამეზე კი — დავით არუთინიანი შავებით ტაიგერ პერსონ ჰილარპს. სამწუხაროდ, დამარცხდა მეოთხეზე მოთამაშე მერაბ გაგუნაშვილი. ქართველი თეთრი ფიგურებით ონტუს კარლსონს დაუპირისპირდა და ქულა 28-ე სვლაზე დაუთმო.

ქართველმა ქალებმა, ვაჟების მსგავსად, ყაიმი ითამაშეს. ჩვენებმა მთავარ კონკურენტ პოლონეთს დაუზავდნენ და მეორედან მეოთხეზე ჩამოვიდნენ. შეხვედრები ოთხივე დაფაზე ყაიმით დასრულდა. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძე თეთრებით მონიკა სოცკოს დაუზავდა, მეორეზე ლელა ჯავახიშვილი შავებით — ივეტა რაილიხს, მესამეზე, ნინო ხურციძე თეთრებით — იოლანტა ზავადსკას, ხოლო მეოთხეზე ნანა ძაგნიძე — შავებით იოანა დვორაკოვსკას.

**ლაშა გეგეჭკორი**

| კაცები | | |
|---|---|---|
| 1. რუსეთი | 12 | (18) |
| 2. სლოვენია | 10 | (15,5) |
| 3. უკრაინა | 9 | (15) |
| 4. საფრანგეთი | 9 | (14,5) |
| 5. სომხეთი | 7 | (14,5) |
| 17. საქართველო | 6 | (14) |

| ქალები | | |
|---|---|---|
| 1. რუსეთი | 10 | (17) |
| 2. პოლონეთი | 10 | (17) |
| 3. უკრაინა | 9 | (16,5) |
| 4. საქართველო | 9 | (16,5) |
| 5. ბულგარეთი | 8 | (15) |



# რეგულარული ჩემპიონატი

2 ნოემბერი

**ფილადელფია 3:2 ვაშინგტონი**
*0:1 2:0 1:1*
0:1 ფლეიშმანი (8), 1:1 ბრიარი (29), 2:1 რიჩარდსი (36), 3:1 ამბერგერი (42), 3:2 ოვეჩკინი (56)

**ნიუ ჯერსი 3:2 ტორონტო**
*1:0 0:1 2:1*
1:0 კლარკსონი (15), 1:1 სტინი (31), 2:1 მადენი (56), 3:1 პარიზე (58), 3:2 სუნდინი (60)

**ფლორიდა 4:2 ბუფალო**
*1:0 3:1 0:1*
1:0 დვორჟაკი (6), 1:1 ხეხტი (30), 2:1 ზედნიკი (34), 3:1 ზედნიკი (37), 4:1 იოკინენი (39), 4:2 ვანეკი (57)

**ფინიქსი 5:0 დალასი**
*2:0 1:0 2:0*
1:0 კაპანენი (13), 2:0 კარჩილიო (14), 3:0 დოუნი (24), 4:0 პანზალი (41), 5:0 ვრბატა (52)

**ნეშვილი 4:1 ედმონტონი**
*0:0 1:1 3:0*
1:0 ლეგვანდი (23), 1:1 პენსკი (32), 2:1 არნოტი (53), 3:1 ბომპი (55), 4:1 ფიდლერი (59)

**ლოს ანჯელესი 5:2 სან ხოსე**
*0:1 3:0 2:1*
0:1 მარლო (16), 1:1 კამალერი (22), 2:1 მოულსონი (35), 3:1 ბრაუნი (39), 4:1 ნადი (47), 4:2 ტორნტონი (59), 5:2 ბრაუნი (60)

3 ნოემბერი

**ოტავა 3:2 ბოსტონი**
*1:0 1:2 1:0*
1:0 ფიშერი (5), 1:1 კობასიუ (22), 1:2 კობასიუ (25), 2:2 ჰიტლი (31), 3:2 ფიშერი (54)

**რეინჯერსი 2:1 ნიუ ჯერსი**
*1:1 0:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*
1:0 გომესი (7), 1:1 ბრილინი (7)

**აილენდერსი 3:2 პიტსბურგი**
*0:1 1:1 2:0*
0:1 მელოუნი (13), 0:2 კენედი (22), 1:2 ჰანტერი (29), 2:2 შატანი (46), 3:2 შატანი (58)

**კაროლინა 4:2 ფლორიდა**
*1:0 2:2 1:0*
1:0 კალენი (9), 2:0 ლაროუზი (27), 2:1 ბაუმისტერი (28), 3:1 ლეტოვსკი (29), 3:2 ზედნიკი (38), 4:2 სტილმანი (52)

**მონრეალი 2:3 ტორონტო**
*1:1 1:1 0:1*
0:1 კაბერლე (2), 1:1 კომისარეკი (17), 2:1 ჰიგინსი (23), 2:2 სუნდინი (27), 2:3 სტეიჯმანი (59)

**ტამპა 4:6 ატლანტა**
*2:1 2:2 0:3*
0:1 ენსტრომი (10), 1:1 ობრაიანი (12), 2:1 ობრაიანი (18), 3:1 უელე (25), 4:1 რიჩარდსი (35), 4:2 კოვალჩუკი (36), 4:3 ჰოსა (37), 4:4 კოვალჩუკი (48), 4:5 დიუპუი (58), 4:6 კოვალჩუკი (59)

**მინესოტა 4:1 კალგარი**
*1:0 1:1 2:0*
1:0 როლსტონი (3), 2:0 გაბორიკი (27), 2:1 იგინლა (40), 3:1 გაბორიკი (44), 4:1 რადივოევიჩი (60)

**სენტ ლუისი 2:3 ჩიკაგო**
*1:1 0:0 1:2*
0:1 ბაიფულენი (5), 1:1 პერონი (16), 1:2 შარპი (48), 2:2 კარია (55), 2:3 შარპი (58)

**ფინიქსი 2:5 ანაჰაიმი**
*0:1 0:2 2:2*
0:1 შნაიდერი (12), 0:2 პერი (25), 0:3 მეი (29), 1:3 ვრბატა (43), 1:4 გეცლაფი (54), 2:4 ჟოვანოვსკი (59), 2:5 პერი (60)

**კოლორადო 3:4 ვანკუვერი**
*0:1 1:1 2:2*
0:1 დ. სედინი (11), 1:1 ფინგერი (32), 1:2 მორისონი (36), 1:3 კესლერი (42), 2:3 სვატოში (46), 2:4 დ. სედინი (54), 3:4 სვატოში (60)

**ლოს ანჯელესი 1:3 სან ხოსე**
*1:1 0:1 0:1*
0:1 პაველსკი (3), 1:1 სტიუარტი (6), 1:2 რენიკი (31), 1:3 ჩიჩუ (54)





# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ


ინგლისი. პრემიერლიგა
5 ნოემბერი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 60 | ხიტი-სანდერლენდი | | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 61 | ხიტი-სანდერლენდი | 0:1 | 2.20 | 3.20 | 2.45 | | | |

ინგლისი. ჩემპიონატი
5 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 74 | ბარნსლი-ბლეკპული | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

გერმანია. II ბუნდესლიგა
5 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:15 | 45 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 1.35 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.56 |

პორტუგალია. სუპერლიგა
5 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 46 | მარიტიმუ-გიმარაეში | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |

ჩეხეთი
5 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 47 | იაბლონეცი-ლიბერეცი | 2.45 | 2.90 | 2.70 | 1.32 | 1.28 | 1.39 |

სლოვაკეთი
5 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 48 | სლოვანი-პეტრჟალკა | 3.30 | 3.10 | 2.00 | 1.59 | 1.24 | 1.21 |

დანია. სუპერლიგა
5 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 408 | ვიბორგი-ოდენსე | 3.60 | 3.40 | 1.85 | 1.74 | 1.22 | 1.19 |

მექსიკა
5 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 49 | პუმასი-ვერაკრუზი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 23:45 | 50 | ამერიკა-ნეკახა | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:45 | 51 | სანტოსი-ტიგრესი | 1.35 | 3.90 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.56 |
| 23:45 | 52 | პუებლა-ჩივასი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |

ჩემპიონთა ლიგა
6 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 1 | ლივერპული-ბეშიქთაში | 1.27 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.12 | 3.05 |
| 23:45 | 3 | პორტუ-მარსელი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 23:45 | 4 | ვალენსია-როზენბორგი | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| 23:45 | 6 | შალკე-ჩელსი | 2.85 | 3.10 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| 23:45 | 7 | ლაციო-ვერდერი | 2.30 | 3.10 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 23:45 | 8 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 3.40 | 3.10 | 2.00 | 1.62 | 1.25 | 1.21 |
| 23:45 | 9 | სელტიკი-ბენფიკა | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 23:45 | 10 | შახტარი-მილანი | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |

7 ნოემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 11 | მანჩესტერი-დინამო კ | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 23:45 | 13 | სპორტინგი-რომა | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| 23:45 | 14 | ინტერი-ცსკა | 1.25 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.05 |
| 23:45 | 16 | ფენერბაჩე-პსვ | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 17 | სლავია-არსენალი | 6.30 | 3.60 | 1.45 | 2.29 | 1.17 | 1.03 |
| 23:45 | 19 | სტიაუა-სევილია | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| 23:45 | 20 | ლიონი-შტუტგარტი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 23:45 | 22 | ბარსელონა-რეინჯერსი | 1.25 | 4.60 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.09 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12045 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 2.10 | 1.50 |
| 12046 | მარიტიმუ-გიმარაეში | 1.60 | 2.00 |
| 12060 | სიტი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12074 | ბარნსლი-ბლეკპული | 1.90 | 1.70 |
| 12408 | ვიბორგი-ოდენსე | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13045 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 1.70 | 1.90 |
| 13046 | მარიტიმუ-გიმარაეში | 1.70 | 1.90 |
| 13060 | სიტი-სანდერლენდი | 1.90 | 1.70 |
| 13408 | ვიბორგი-ოდენსე | 1.60 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14045 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 1.20 | 2.60 |
| 14046 | მარიტიმუ-გიმარაეში | 1.70 | 2.20 |
| 14060 | სიტი-სანდერლენდი | 1.30 | 2.50 |
| 14074 | ბარნსლი-ბლეკპული | 1.70 | 2.20 |
| 14408 | ვიბორგი-ოდენსე | 2.30 | 1.65 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15045 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15046 | მარიტიმუ-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15060 | სიტი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ბარნსლი-ბლეკპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15408 | ვიბორგი-ოდენსე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16045 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 1.10 | 5.50 |
| 16046 | მარიტიმუ-გიმარაეში | 1.34 | 2.80 |
| 16060 | სიტი-სანდერლენდი | 1.17 | 4.10 |
| 16074 | ბარნსლი-ბლეკპული | 1.40 | 2.55 |
| 16408 | ვიბორგი-ოდენსე | 2.45 | 1.40 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17045 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 1.85 | 1.95 |
| 17046 | მარიტიმუ-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17060 | სიტი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ბარნსლი-ბლეკპული | 1.85 | 1.95 |
| 17408 | ვიბორგი-ოდენსე | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10045 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10046 | მარიტიმუ-გიმარაეში | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10060 | სიტი-სანდერლენდი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10074 | ბარნსლი-ბლეკპული | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10408 | ვიბორგი-ოდენსე | 4.00 | 2.00 | 2.30 | 1.33 | 1.46 | 1.06 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11045 | მიონხენგლადბახი-კარლ ცაისი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11046 | მარიტიმუ-გიმარაეში | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11060 | სიტი-სანდერლენდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11074 | ბარნსლი-ბლეკპული | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11408 | ვიბორგი-ოდენსე | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსის მამლობა

**ინგლისური** მედია კვლავაც მარჩიელობს იმის შესახებ, ხუანდე რამოსი ყოფილი სევილიელი შეგირდებიდან „ტოტენჰემში" ვის წაიყვანს.

„მამლებთან" ხუანდეს კონტრაქტის გაფორმებისთანავე ბრიტანეთში დანი ალვეშისა და ფრედი კანუტის „სანჩეს პისხუანიდან" „უაით ჰართ ლეინზე" გადაბარგებაზე ალაპარაკდნენ. თუმცა თავად ხუანდე რამოსმა ამ ხმებს ჭორი უწოდა, „სევილიადან" არც ბრაზილიელი ალვეშისა და არც მალელი კანუტის წამოყვანას არ ვგეგმავო.

მორიგი სევილიელი კანდიდატი კი ალექსანდრ კერჟაკოვია. „დეილი მირორი" ამტკიცებს, რუსი ფორვარდი „სანჩეს პისხუანის" გუნდის ძირითადში ვერმოხვედრით უკმაყოფილოა და კლუბის დატოვება გადაუწყვეტიაო. რამოსიც თურმე იანვრის სატრანსფერო ბაზარზე სლავის შეძენას აპირებს.

## NO COMMENT არგენტინაზე

**წარმოშობით** არგენტინელმა მაურო კამორანეზიმ განაცხადა, რომ თუ როდესმე კარიერის გაგრძელებას ისტორიულ სამშობლოში გადაწყვეტს, მისი რჩეული გუნდი იქაური გრანდი „რივერ პლეიტი" იქნება.

„იუვენტუსის" 31 წლის ნახევარმცველს მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში უთამაშია არგენტინაში და „რივერის" ფეხბურთელიც არ ყოფილა. მაუროს მექსიკურ „კრუზ ასულში" გადაბარგებამდე „ბანფილდის" მაისურა ეცვა, ევროპაში კი ჯერ „ვერონაში" გამოიჩინა თავი, ხოლო შემდეგ ტურინის „იუვენტუსში".

კამორანეზიმ „კორიერე დელო სპორტთან" ინტერვიუში თქვა, ჯერ კლუბის გამოცვლას არ ვგეგმავ, თუმცა თუ „იუვეს" და სერია ც-ს დატოვებას გადავწყვეტ, კარიერას „რივერ პლეიტში" დავასრულებო. მაურომ თავის დროზე არგენტინის ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. ნახევარმცველი იტალიის ეროვნულ გუნდში გამოძახებას ელოდებოდა, რაც საბოლოოდ მოხდა კიდეც. კამორანეზიმ „კორიერე დელო სპორტს" გაუმხილა, ამ ამბის გამო სხვა არგენტინელ ფეხბურთელებთან ურთიერთობა არ გამფუჭებიაო.

„არგენტინის ნაკრებზე ჩემს მეგობრებს არ ვესაუბრები ხოლმე. არც სხვა არგენტინელი ფეხბურთელები ცდილობენ ამ თემაზე ჩემთან საუბარს" — ამბობს „იუვეს" პატაგონიელი.

## რონალდინიო ყველაფრის წამალია

**ჰენკ ტენ კატი** ახლა „ჩელსის" მწვრთნელის ავრაამ გრანტის თანაშემწეა, 2003-06 წლებში კი „ბარსელონას" თავკაცის ფრანკ რაიკარდის დამხმარე გახლდათ. ჰოლანდიელი ტენ კატი კატალონიელთა ვარსაკვლავს, ბრაზილიელ რონალდინიოს ურჩევს, გაისად „ჩელსის" ფეხბურთელი გახდიო.

სტემფორდბრიჯელთა პატრონმა რომან აბრამოვიჩმა რამდენიმე ხნის წინ ჰენკს ჰკითხა, „ჩელსიში" არსებულ სიტუაციაზე რას ფიქრობ. ამაზე ჰოლანდიელუპასუხა, რომ გუნდს ძლიერი შემადგენლობა კი ჰყავს, თუმც წინა სეზონში „მანჩესტერთან" ჩემპიონობის დათმობისა და წლეულს „ჩელსიდან" მაურინიუს დათხოვნის გამო ფეხბურთელები მორალურად დათრგუნულები არიანო.

და გამოსავალი? ავრაამ გრანტის თანაშემწემ „ჩელსის" ამჟამინდელი ვითარება „ბარსელონაში" 4 წლის წინ არსებულ სიტუაციას შეადარა და აბრამოვიჩს „წამლად" რონალდინიო ურჩია.

„რონალდინიოს" მოსვლამ მაშინ „ბარსელონა" სასწაულებრივად გამოაცოცხლა და კატალონიელებმაც პრიმერადივიზიონის ჩემპიონობისა და ჩემპიონთა თასის მოგებით საკუთარი ძალების რწმენა აღიდგინეს. „კიჭა" თუ გადმოვიყვანეთ, „ჩელსიშიც" იგივე მოხდება" — უთქვამს ჰენკს რომან არკადიევიჩისთვის.

ინგლისური გაზეთები ამტკიცებენ, რომ ჰენკ ტენ კატი ძველ ბარსელონულ კავშირებს იყენებს და რონალდინიოს „ჩელსიში" ჩარიცხვას ურჩევს. მით უფრო, რომ ბრაზილიელი „კამპ ნოუზე" თავს ადრინდელივით დალხინებულად ვერ გრძნობს და არ არის გამორიცხული, გუნდის გამოცვლაზეც იფიქროს.

შეგახსენებთ, რომ რონალდინიოთი იტალიური „მილანიცაა" დაინტერესებული. ადრე „როსონერის" და რონისთან დაკავშირებით ასტრონომიულ თანხებზე ლაპარაკობდნენ, თუმც, სავარაუდოდ, „მილანი" ბრაზილიელის გამო ჯიბეზე ხელს ზედმეტად გულუხვად არ გაიკრავს.

## ადრიანო სტამბოლის კაში?

**თურქულმა** „ფენერბაჰჩემ" მილანის „ინტერს" 3,5 მილიონ ნახევარი გირვანქა შესთავაზა ბრაზილიელი თავდამსხმელის ადრიანოს სანაცვლოდ და თუ ადრიანო თურქულ კლუბში გადასვლას დათანხმდება, ხელფასადაც ამდენივეს მიიღებსო — გვამცნობს „კალჩომერკატო". „ინტერს" შეთავაზება კი მიულია, მაგრამ იმას ფიქრობს, ტრანსფერს იანვარშივე დათანხმდეს თუ ზაფხულში, სეზონის ბოლოს. „კალჩომერკატო" კი გვარწმუნებს, ადრიანო სტამბოლურ კლუბში იანვარშივე გადავაო.

**ლადო ხომერიკი**



„მოსკვას" მეკარემ ... ბურთის მაგივრად ზენიტელი კიმის თავი დაიჭირა

### პოლონეთი

I ლიგა. XIII ტური

გურნიკი — ბელხატუვი 2:0; კრაკოვია — ზაგლებე 1:2; იაგელონია — ლეხი 4:2; ლოძი — ვისლა 0:1; პოლონია — ოდრა 1:0; სოსნოვიცი — ვიძევი 0:0; გროცლინი — კორონა 4:0; ლეგია — რუხი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 13 | 11 | 2 | 0 | 33:6 | 35 |
| კორონა | 13 | 9 | 1 | 3 | 19:15 | 28 |
| ლეგია | 13 | 9 | 0 | 4 | 22:6 | 27 |
| გროცლინი | 13 | 8 | 1 | 4 | 22:13 | 25 |
| ლეხი | 13 | 7 | 2 | 4 | 27:19 | 23 |
| გურნიკი | 13 | 7 | 1 | 5 | 19:18 | 22 |
| ზაგლებე | 13 | 6 | 3 | 4 | 16:14 | 21 |
| იაგელონია | 13 | 5 | 3 | 5 | 15:21 | 18 |
| ბელხატუვი | 13 | 4 | 5 | 4 | 11:13 | 17 |
| პოლონია | 13 | 4 | 2 | 7 | 8:21 | 14 |
| კრაკოვია | 13 | 4 | 1 | 8 | 10:15 | 13 |
| ვიძევი | 13 | 2 | 6 | 5 | 11:15 | 12 |
| ოდრა | 13 | 3 | 3 | 7 | 13:20 | 12 |
| რუხი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:23 | 12 |
| ლოძი | 13 | 1 | 4 | 8 | 6:12 | 7 |
| სოსნოვიცი | 13 | 2 | 1 | 10 | 12:28 | 7 |

### შვეიცარია

სუპერლიგა. XV ტური

ბაზელი — გრასჰოპერი 2:0; ციურიხი — სიონი 4:1; ლუცერნი — აარაუ 0:0; ქსამაქსი — სენტ გალენი 1:1; თუნი — იანგ ბოისი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 15 | 10 | 3 | 2 | 33:16 | 33 |
| ციურიხი | 15 | 9 | 5 | 1 | 39:15 | 32 |
| იანგ ბოისი | 15 | 7 | 5 | 3 | 34:27 | 26 |
| სიონი | 15 | 5 | 3 | 7 | 17:23 | 18 |
| აარაუ | 15 | 3 | 8 | 4 | 21:21 | 17 |
| ქსამაქსი | 15 | 3 | 7 | 5 | 20:24 | 16 |
| ლუცერნი | 15 | 2 | 10 | 3 | 21:29 | 16 |
| გრასჰოპერი | 15 | 3 | 5 | 7 | 21:28 | 14 |
| თუნი | 15 | 3 | 5 | 7 | 14:22 | 14 |
| სენტ გალენი | 15 | 3 | 3 | 9 | 16:31 | 12 |

ჩელენჯლიგა. XIV ტური

ჩამი — ივერდონი 0:3; კრინსი — გოსაუ 0:2; შო დე ფონი — შაფჰაუზენი 1:2; ვოლენი — ვადუცი 2:1; ლუგანო — დელემონი 0:0; კონკორდია — ვილი 4:3; ლოკარნო — ბელინცონა 0:3; ვინტერთური — სერვეტი 2:2; ლოზანა — კიასო 1:0

### სლოვაკეთი

I ლიგა. XV ტური

სენეცი — ტრენჩინი 3:0; ბანსკა ბისტრიცა — ტრნავა 0:0; კოშიცე — მორავცე 3:0; ნიტრა — დუბნიცა 1:1; რუჟომბეროკი — ჟილინა 1:2. სლოვანი — არტმედია დღეს გაიმართება

### სერბეთი

სუპერლიგა. XII ტური

ჩუკარიჩკი — ცრვენა ზვეზდა 0:1; ბანატი — ბორაცი 2:1; მლადოსტი — სარტიდი 3:2; ნაპრედაკი — ჰაიდუკი 1:0; ოფკ — ბეჟანიჯა 1:0; პარტიზანი — ვოივოდინა 3:3

### მექსიკა

აპერტურა. XVI ტური

ხაგუარესი — პაჩუკა 0:2; მონტერეი — ატლანტე 1:1; ტეკოსი — ტოლუკა 2:3; მორელია — კრუზ ასული 2:1; ატლასი — სან ლუისი 1:1; უნამი — ვერაკრუსი 8:0. ამერიკა — ნეკაქსა, პუებლა — გვადალახარა და სანტოსი — ტიგრესი წუხელ გვიან დამთავრდა

### რუსეთი

პრემიერლიგა. XXIX ტური

**ამკარი 3:1 სატურნი**

1:0 ბელორუკოვი (1), 2:0 პოპოვი (37), 3:0 პეევი (39), 3:1 კარიაკა (56)

**დინამო 0:1 რუბინი**

0:1 კაბზე (60)

**კრილია 3:1 ლოკომოტივი**

0:1 სპახიჩი (29), 1:1 ტოპიჩი (50), 2:1 დ. მუჟირი (75), 3:1 ტოპიჩი (89)

**ყუბანი 0:1 ცსკა**

0:1 ალდონინი (80)

**ლუჩ-ენერგია 2:1 ნალჩიკი**

1:0 სტრელკოვი (1), 1:1 ჟესუსი (22), 2:1 სტრელკოვი (37)

**სპარტაკი 3:0 როსტოვი**

1:0 კალინიჩენკო (40), 2:0 ველინტონი (67), 3:0 ბოიარინცევი (75)

**ტომი 3:1 ხიმკი**

1:0, 2:0, 3:0 მაზნოვი (43, 72, 80), 3:1 ევსტაფეევი (87)

**ზენიტი 1:0 მოსკვა**

1:0 არშავინი (20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 29 | 17 | 7 | 5 | 52:33 | 58 |
| სპარტაკი | 29 | 16 | 8 | 5 | 48:29 | 56 |
| ცსკა | 29 | 13 | 11 | 5 | 42:24 | 50 |
| მოსკვა | 29 | 14 | 7 | 8 | 38:30 | 49 |
| სატურნი | 29 | 11 | 12 | 6 | 34:27 | 45 |
| ამკარი | 29 | 10 | 11 | 8 | 30:25 | 41 |
| დინამო | 29 | 11 | 8 | 10 | 36:33 | 41 |
| ლოკომოტივი | 29 | 11 | 8 | 10 | 37:39 | 41 |
| ტომი | 29 | 8 | 11 | 10 | 37:34 | 35 |
| რუბინი | 29 | 10 | 5 | 14 | 31:38 | 35 |
| ხიმკი | 29 | 8 | 10 | 11 | 28:32 | 34 |
| კრილია | 29 | 8 | 8 | 13 | 34:42 | 32 |
| ლუჩ-ენერგია | 29 | 8 | 8 | 13 | 27:37 | 32 |
| ნალჩიკი | 29 | 7 | 9 | 13 | 28:38 | 30 |
| ყუბანი | 29 | 6 | 11 | 12 | 25:38 | 29 |
| როსტოვი | 29 | 1 | 12 | 16 | 16:44 | 15 |

### თურქეთი

სუპერლიგა. XI ტური

ტრაბზონი — ანკარა 2:1; ოფთა — ქონია 0:1; ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 2:1; ბურსა — ანკარაგიუჯიუ 2:1; გენჩლერი — დენიზლი 1:2; ბუიუქშეჰირი — ქაისერი 1:1; რიზე — მანისა 1:4; სივა — კაშიმპასა 4:0; გაზიანთეფი — გალათასარაი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 11 | 7 | 4 | 0 | 21:6 | 25 |
| სივა | 11 | 8 | 1 | 2 | 20:8 | 25 |
| ფენერბაჰჩე | 11 | 6 | 4 | 1 | 17:10 | 22 |
| ბეშიქთაში | 11 | 6 | 3 | 2 | 13:9 | 21 |
| ქაისერი | 11 | 4 | 5 | 2 | 16:12 | 17 |
| ბუიუქშეჰირი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:11 | 17 |
| ტრაბზონი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:10 | 16 |
| დენიზლი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 15 |
| ანკარაგიუჯიუ | 11 | 4 | 3 | 4 | 13:14 | 15 |
| ოფთა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:11 | 14 |
| გაზიანთეფი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | 14 |
| ქონია | 11 | 3 | 4 | 4 | 12:20 | 13 |
| მანისა | 11 | 3 | 3 | 5 | 16:19 | 12 |
| ბურსა | 11 | 2 | 5 | 4 | 11:13 | 11 |
| რიზე | 11 | 3 | 1 | 7 | 10:23 | 10 |
| გენჩლერი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:17 | 9 |
| ანკარა | 11 | 1 | 4 | 6 | 8:14 | 7 |
| კაშიმპასა | 11 | 2 | 1 | 8 | 7:19 | 7 |

### ხორვატია

I დივიზიონი. XV ტური

ციბალია — დინამო 1:2; მედიმური — რიეკა 0:1; ზაგრები — ვარტექსი 0:0; ინტერი — ზადარი 2:1; სლავენი — შიბენიკი 1:0; ოსიეკი — ჰაიდუკი 0:1

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XII ტური

სლავია — ტეპლიცე 1:0; ჟიჟკოვი — სიგმა 2:0; ბუდეიოვიცე — ბანიკი 3:0; კლადნო — პლზენი 1:2; ბოლესლავი — ზლინი 0:1; მოსტი — სპარტა 0:5; ბრნო — ბოჰემიანსი 2:0. იაბლონეცი — ლიბერეცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 12 | 9 | 2 | 1 | 23:7 | 29 |
| სპარტა | 12 | 7 | 2 | 3 | 21:9 | 23 |
| ტეპლიცე | 12 | 7 | 2 | 3 | 17:9 | 23 |
| ბანიკი | 12 | 5 | 5 | 2 | 20:13 | 20 |
| ბრნო | 12 | 5 | 4 | 3 | 17:16 | 19 |
| პლზენი | 12 | 5 | 3 | 4 | 12:12 | 18 |
| ბოლესლავი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:13 | 16 |
| სიგმა | 12 | 4 | 4 | 4 | 7:10 | 16 |
| ზლინი | 12 | 4 | 4 | 4 | 9:15 | 16 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 4 | 3 | 5 | 15:15 | 15 |
| კლადნო | 12 | 3 | 3 | 6 | 18:22 | 12 |
| ჟიჟკოვი | 12 | 3 | 3 | 6 | 17:24 | 12 |
| ლიბერეცი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:11 | 10 |
| იაბლონეცი | 11 | 2 | 4 | 5 | 7:11 | 10 |
| ბოჰემიანსი | 12 | 2 | 4 | 6 | 6:14 | 10 |
| მოსტი | 12 | 1 | 5 | 6 | 16:27 | 8 |

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XIII ტური

ვაშაში — ჰონვედი 0:2; დიორი — უიპეშტი 4:2; ნიირედიჰაზა — კაპოშვარი 0:2; პაკში — დიოშდიორი 2:2; რეპკი — ზალაგერსეგი 1:2; ტატაბანია — მტკ 1:3; შოპრონი — შიოფოკი 0:0. ფეჰერვარი — დებრეცენი დღეს გაიმართება

### ბულგარეთი

ვიშა ლიგა. XI ტური

მარეკი — ცსკა 1:3; პირინი — ლევსკი 1:1; ბეროე — ბელასიცა 2:1; ჩერნო მორე — ვიჰრენი 1:0; ლოკომოტივი (პლ) — ლიტექსი 1:0; ლოკომოტივი (ს) — ვიდიმა-რაკოვსკი 2:0; ბოტევი — ჩერნომორეცი 0:0; სლავია — სპარტაკი 5:0

### იაპონია

თასის ფინალი

კავაზაკი 0:1 გამბა

### უკრაინა

ვიშა ლიგა. XV ტური

კარპატი — დნიპრო 0:1; ნაფტოვიკი — ვორსკლა 2:0; ხარკოვი — არსენალი 2:0; მეტალურგი (დ) — შახტარი 0:1; დინამო — მეტალისტი 0:1; ზარია — ზაკარპატია 1:0; კრივბასი — ჩერნომორეცი 3:0; მეტალურგი (ზ) — ტავრია 0:0

### რუმინეთი

I ლიგა. XIV ტური

ოცელული — გლორია (ბუზაუ) 2:3; უნივ კლუჟი — ჩაპლაული 1:1; უნივ კრაიოვა — დინამო 1:1; ვასლუი — კლუჟი 0:2; გლორია (ბისტრიცა) — ფარული 1:0; არადი — პანდური 3:3; დაჩია — პოლიტეხნიკა 2:1; რაპიდი — უნირია 1:1; ტიმიშოარა — სტიაუა 2:0

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXXII ტური

ბოჰემიანსი — ლონგფორდი 0:0; დერი — შემროკი 1:1; დროჰედა — ბრეი 1:1; დუბლინი — სენტ პატრიკსი 0:3; უოტერფორდი — გალვეი 0:0; სლიგო — კორკი 0:1

# ინგლისი
## პრემიერლიგა XII ტური

### ბლეკბერნი 0:0 ლივერპული

ბლეკბერნი: ფრიდელი, ოიერი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, ემერტონი, ბენტლი, დანი (თუგაი 56), პედერსენი, მაკკარტი (დერბიშირი 89), სანტა კრუზი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ბენაიუნი (კრაუჩი 72), სისოკო, მასკერანო, ბაბელი (კიუელი 67), ჯერარდი, კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კარაგერი
მსაჯი: ატკინსონი
30 033 მაყურებელი

### არსენალი 2:2 მანჩესტერი

0:1 გალასი (45ს.კ.), 1:1 ფაბრეგასი (48), 1:2 რონალდუ (82), 2:2 გალასი (90)
არსენალი: ალმუნია, სანია, კ. ტურე, გალასი, კლიში, ებუ (უოლკოტი 74), ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი (ედუარდო 80), გლები (ჟილბერტო სილვა 80), ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვ. ბრაუნი (ოში 71), რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, ჰარგრივსი, ანდერსონი (კარიკი 76), გიგზი, რუნი, ტევესი (საა 76)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ფაბრეგასი, ევრა, ჰარგრივსი
მსაჯი: ვები
60 161 მაყურებელი

### უიგანი 0:2 ჩელსი

0:1 ლამპარდი (11), 0:2 ბელეტი (18)
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, გრანკვისტი, ბრამბლი, კილბეინი, ვალენსია, მ. ბრაუნი (სკოკო 85), შარნერი, ლანძაატი (სიბიერსკი 82), კუმასი, მ. ბენტი
მწვრთნელი: კრის ჰათჩინგსი
ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, ალექსი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, მიკელი, ესიენი (სიდველი 76), ლამპარდი, შ. რაიტ-ფილიპსი, მალუდა, დროგბა (ს. კალუ 75)
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: ლანძაატი, დროგბა, ბრამბლი
მსაჯი: ბენეტი
19 011 მაყურებელი

### ნიუკასლი 1:4 პორტსმუთი

0:1 ჰამარო (8), 0:2 მვარუვარი (9), 0:3 უტაკა (11), 1:3 კემპბელი (16ს.კ.), 1:4 კრანჩარი (71)
ნიუკასლი: ჰარპერი, ტეილორი, ფეიე, კასაპა (როზენალი 18), ხოსე ენრიკე (მარტინსი 54), ნზოგბია, ბატი, ბარტონი, მილნერი (ემრე 69), ოუენი, ა. სმიტი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჰამარო, დისტინი, ს. კემპბელი, გ. ჯონსონი, დევისი, მუნტარი (პ. მენდეში 87), დიოპი, კრანჩარი, უტაკა, მვარუვარი (კანუ 76)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: სმიტი, ბათი, დისტინი, დევისი
მსაჯი: ფოი
51 490 მაყურებელი

### ასტონ ვილა 2:0 დერბი

1:0 ლაურსენი (57), 2:0 იანგი (61)
ასტონ ვილა: კარსონი, ნაითი (მ. დევისი 88), მელბერგი, ლაურსენი, ბუმა, იანგი (მელოუნი 69), პეტროვი, ბერი, რეო-კოკერი, ლ. მური (ბერგერი 77), აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
დერბი: ბივატერი, გრიფინი, დ. მური, ს. დევისი (ტილი 46), მაკივერი, ფაგანი (ერნშოუ 66), ოკლი, ლიკოკი, პირსონი, ბერნესი, ჰოვარდი
მწვრთნელი: ბილი დევისი
გაფხილება: გრიფინი, დ. მური, ჰოვარდი
მსაჯი: ჰალსი
40 938 მაყურებელი

### მიდლსბრო 1:1 ტოტენჰემი

0:1 ბენტი (35), 1:1 იანგი (52)
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, უიტერი, რიგოტი, ტეილორი, ონილი, კეტერმოლი, როჩემბაკი (ბოატენგი 77), დაუნინგი, ალიადირი (დ. ლი 78), თუნჯაი (ჰათჩინსონი 72)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, კაბული, ი. ლი, ლენონი, ჯენასი, ჯ. ბოტენგი (ზოკორა 63), მალბრანკი, დ. ბენტი (ბერბატოვი 58), დეფო (კინი 58)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: დ. ლი
მსაჯი: დინი
25 625 მაყურებელი

### ევერტონი 3:1 ბირმინგემი

1:0 აიეგბენი (10), 1:1 კაპო (80), 2:1 კარსლი (90), 3:1 ვუგანი (90)
ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, სტაბსი (იაგიელკა 22), ლესკოტი, არტეტა, კარსლი, ოსმანი (ვუგანი 80), პიენაარი (გრავესენი 85), ტ. კეჰილი, აიეგბენი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ბირმინგემი: მ. ტეილორი, კელი, შმიტცი, ჯურუ, რიდგუელი, დე რიდერი (ფორსელი 79), მუამბა, ნაფტი (მაკშეფრი 71), ლარსონი (ოკონორი 52), კაპო, ჯერომი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: კელი
მსაჯი: რაილი
35 155 მაყურებელი

### ფულემი 3:1 რედინგი

1:0 დევისი (18), 1:1 დოილი (54), 2:1 დემპსი (72), 3:1 ჰილი (90)
ფულემი: ნიემი, სტეფანოვიჩი, ომოზუსი, ეშტონი, ჰიუზი, ს. დევისი, მერფი, ტ. დევისი, ბუაზა (კუქი 60), დემპსი, კამარა (ჰილი 67)
მწვრთნელი: ლოური სანჩესი
რედინგი: ჰანემანი, მარტი (ლონგი 87), დაბერი, სონკო, შორი, გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, ლიტა (კონვეი 76), კიტსონი, დოილი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხილება: სტეფანოვიჩი, ომოზუსი, ჰილი, ომოზუსი
გაძევება: ომოზუსი (90)
მსაჯი: კლატენბურგი
22 086 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 1:1 ბოლტონი

1:0 მაკკარტნი (20), 1:1 ნოლანი (90)
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, გაბიდონი, მაკკარტნი, აპსონი, ბოიერი (პანცილი 85), ეზერინგტონი, მალინსი (სპექტორი 50), სოლანო, ბოა მორტე, ჯ. კოული (კამარა 72)
მწვრთნელი: ალან პერდიუ
ბოლტონი: იასკელაინენი, ე. ობრაიენი, მეიტე (მიხალიკი 46), კამპო, ჰანტი (მაკკანი 81), გარდნერი, გუტრიე, ნოლანი, სპიდი (სემუელი 78), ჯ. დევისი, დიუფი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ჰანტი, ბოიერი, პანცილი
მსაჯი: უოლტონი
33 867 მაყურებელი

### სიტი — სანდერლენდი

დღეს გაიმართება



AFP ლონდონიდან

არსენალი 2:2 მანჩესტერი. სესკ ფაბრეგასის დარტყმულს ვერც რიო ფერდინანდი გადაელობა და ვერც ვან დერ სარი

# ფრაე გინებით

„გვაგინებდნენ და თავზე დაგვჩხაოდნენ — თქვა გაბრაზებულმა ალექს ფერგიუსონმა ნამატჩევს — ფანები, რომლებიც ჩვენი სკამის ახლოს ისხდნენ, მთელი შეხვედრის განმავლობაში „მანჩესტერის“ ლანძღვით ერთობოდნენ. ამ სტადიონზე თავს უსაფრთხოდ ვერ ვგრძნობ და აქაურების საქციელი შეურაცხმყოფელია.“

„არსენალმა“, ისევე როგორც წინა სეზონში, „მანჩესტერს“ ბოლო წუთზე გაუტანა, ოღონდ მაშინ მოუგო, ამჯერად კი პირველ მარცხს გადაურჩა. მხსნელად „მეთოფეებს“ უილიამ გალასი მოევლინა, რომლის დარტყმული ბურთიც ვან დერ სარმა კი მოიგერია, მაგრამ უკვე კარის ხაზს შიგნით, რაც გვერდითმა მსაჯმა დაინახა და გოლი ჩათვალა.

„არსენალი“ კვლავაც დაუმარცხებელია, „მანჩესტერს“ კი მოგებათა სერია შეუწყდა.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ახლო კუთხესთან რუნი დაუხვდა და დაარტყა. ჩაწოლილ გალასს ბურთი ხელზე მოხვდა და ბადეში შევარდა.

შესვენების შემდეგ „არსენალმა“ მსგავსი კომბინაციის შედეგად გაათანაბრა. ადებაიორის დარტყმული ვან დერ სარმა მოიგერია, მაგრამ სანიამ კარის წინ ფაბრეგასს დაუგორა, ხოლო ესპანელმა ბურთი ძელსა და ხაზზე მდგარ ფერდინანდს შორის გააძვრინა. ეს იყო ფაბრეგასის მე-11 გოლი ამ სეზონის ყველა ტურნირში.

ბოლოსკენ არსენ ვენგერმა უოლკოტი, ედუარდო და ჟილბერტო სილვა შეუშვა, ხოლო ალექს ფერგიუსონმა — ოში, კარიკი და საა. სწორედ საამ წამოიწყო საგოლე კომბინაცია — ევრას შეუყოლა ბურთი საჯარიმოში, რომლის შესახვედრადაც კარიდან ალმუნია გამოვარდა (წამის მერე გაირკვა, რომ შეცდა), მაგრამ ევრამ რონალდუს მიაწოდა და პორტუგალიელმა უპატრონოდ მიტოვებულ ბადეში შეაგდო. ამის მერე იყო ის, რაც ზემოთვე ვთქვით — „არსენალის“ შტურმი და გალასის გოლი.

ალექს ფერგიუსონი: „ჰოვარდ ვებს შანსი ჰქონდა პრემიერლიგის საუკეთესო მსაჯი გამხდარიყო, მაგრამ შეცდა — გალასის გოლამდე ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა არ დანიშნა.“

არსენ ვენგერი: „გვერდითმა მსაჯმა საქმე ფრიადზე შეასრულა. ვებმა რომ დაუსტვინა, მეგონა, დაგვაჯარიმეს, თურმე გოლი ყოფილა. ჩვენ უკვე ზედიზედ მეორე მატჩში გამოვავლინეთ ბრძოლის ჟინი, რაც ძალიან მახარებს. „ლივერპულთანაც“ ვაგებდით და ქულა გადავარჩინეთ, ამჯერად კი ორჯერ მოვახერხეთ გათანაბრება.“

„ნიუკასლს“ „პორტსმუთმა“ კოშმარი მოუწყო — ოთხ წუთში სამი გოლი გაუტანა და სეზონში პირველი საშინაო მარცხი აგემა. თანაც პორტსმუთელებს ნიუკასლში 58 წელი ვერ მოეგოთ. გარდა ამისა, ხუთივე გოლიც სტუმრებმა შეაგდეს — ოთხი მეტოქის კარში, ერთიც სოლ კემპბელმა საკუთარში ჩაჭრა. ჰამარომ, მვარუვარიმ კრანჩარმა და უტაკამ მეკარე ჰარპერს ოთხჯერ გამოატანინეს ბურთი კარიდან, ხოლო „ნიუკასლის“ მწვრთნელს სემ ალარდაისს ათქმევინეს: „ეს იყო უცუდესი მატჩი სეზონში. თერთმეტ წუთში ყველაფერი დამთავრდა და უშანსოდ დავრჩით.“

„პორტსმუთის“ თავკაცი ჰარი რედნაპი: „ძალიან მაღარდებს ის ამბავი, რომ ჩვენი გუნდის აფრიკელი ფეხბურთელები თებერვალში აფრიკის ეროვნებათა თასზე უნდა წავიდნენ და მათ გარეშე „პორტსმუთი“ დასუსტდება.“

„ტოტენჰემის“ ახალი მწვრთნელის ხუანდე რამოსის დებიუტი „მიდლსბროსთან“ შედგა. დარენ ბენტმა სტუმრები დააწინაურა, მაგრამ ლუკ იანგმა გაათანაბრა. რამოსის თანაშემწე გუსტავო პოიეტი: „ვითარების გამოსასწორებლად ჩვენ დრო გვჭირდება. მალე საქმეები უკეთესად წავა.“

**ვაჟა ხუციშვილი**



ფულემი 3:1 რედინგი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 11 | 8 | 3 | 0 | 24:9 | 27 |
| მანჩესტერი | 12 | 8 | 3 | 1 | 21:6 | 27 |
| ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 18:8 | 24 |
| პორტსმუთი | 12 | 6 | 4 | 2 | 23:13 | 22 |
| ბლეკბერნი | 11 | 6 | 4 | 1 | 15:9 | 22 |
| სიტი | 11 | 7 | 1 | 3 | 15:13 | 22 |
| ლივერპული | 11 | 5 | 6 | 0 | 17:6 | 21 |
| ევერტონი | 12 | 6 | 1 | 5 | 18:14 | 19 |
| ასტონ ვილა | 11 | 5 | 3 | 3 | 16:13 | 18 |
| ნიუკასლი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:17 | 17 |
| ვესტ ჰემი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:10 | 15 |
| რედინგი | 12 | 4 | 1 | 7 | 15:26 | 13 |
| ფულემი | 12 | 2 | 6 | 4 | 16:18 | 12 |
| ბირმინგემი | 12 | 3 | 2 | 7 | 12:18 | 11 |
| სანდერლენდი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 |
| მიდლსბრო | 12 | 2 | 3 | 7 | 12:23 | 9 |
| ტოტენჰემი | 12 | 1 | 5 | 6 | 19:24 | 8 |
| უიგანი | 12 | 2 | 2 | 8 | 10:19 | 8 |
| ბოლტონი | 12 | 1 | 4 | 7 | 11:18 | 7 |
| დერბი | 12 | 1 | 3 | 8 | 5:26 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 8 |
| ადებაიორი (არსენალი) | 6 |
| ანელკა (ბოლტონი) | 6 |
| ფაბრეგასი (არსენალი) | 6 |
| კინი (ტოტენჰემი) | 6 |

### XIII ტური

10 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ბირმინგემი | ასტონ ვილა |
| ბოლტონი | მიდლსბრო |
| ჩელსი | ევერტონი |
| დერბი | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | ფულემი |
| მანჩესტერი | ბლეკბერნი |
| პორტსმუთი | სიტი |
| რედინგი | არსენალი |
| სანდერლენდი | ნიუკასლი |
| ტოტენჰემი | უიგანი |

### ჩემპიონატი. XIV ტური

ბარნსლი — პრესტონი 1:0; პლიმუთი — უენსდი 1:2; ქუინზ პარკი — ჰალი 2:0; სკანთორპი — კრ. პალასი 0:0; შეფილდი — ბარნლი 0:0; საუთჰემპტონი — ჩარლტონი 0:1; სტოკი — ქოვენთრი 1:3; უოტფორდი — ვესტ ბრომვიჩი 0:3; ვულვზი — ბრისტოლი 1:1; კოლჩესტერი — ლესტერი 1:1; ნორვიჩი — იფსვიჩი 2:2; ბარნსლი — ბლეკპული დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 14 | 10 | 2 | 2 | 24:15 | 32 |
| ბრისტოლი | 14 | 7 | 6 | 1 | 21:13 | 27 |
| ვესტ ბრომვიჩი | 14 | 8 | 2 | 4 | 30:15 | 26 |
| იფსვიჩი | 13 | 6 | 4 | 3 | 24:19 | 22 |
| ჩარლტონი | 14 | 6 | 4 | 4 | 18:15 | 22 |
| ვულვზი | 14 | 6 | 4 | 4 | 17:15 | 22 |
| ქოვენთრი | 14 | 6 | 3 | 5 | 18:19 | 21 |
| პლიმუთი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:17 | 20 |
| სტოკი | 14 | 5 | 5 | 4 | 19:19 | 20 |
| სკანთორპი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:16 | 20 |
| ბარნსლი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:20 | 20 |
| საუთჰემპტონი | 14 | 6 | 1 | 7 | 24:28 | 19 |
| ბარნლი | 13 | 4 | 6 | 3 | 20:19 | 18 |
| ლესტერი | 13 | 3 | 7 | 3 | 13:10 | 16 |
| ჰალი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:17 | 16 |
| უენსდი | 14 | 5 | 1 | 8 | 18:24 | 16 |
| კოლჩესტერი | 14 | 3 | 6 | 5 | 24:24 | 15 |
| კარდიფი | 13 | 3 | 5 | 5 | 18:19 | 14 |
| პრესტონი | 14 | 3 | 5 | 6 | 14:16 | 14 |
| შეფილდი | 14 | 3 | 5 | 6 | 17:21 | 14 |
| ქუინზ პარკი | 13 | 3 | 5 | 5 | 12:21 | 14 |
| ბლეკპული | 13 | 2 | 7 | 4 | 16:19 | 13 |
| კრ. პალასი | 14 | 2 | 6 | 6 | 14:18 | 12 |
| ნორვიჩი | 14 | 2 | 3 | 9 | 9:20 | 9 |

### პირველი ლიგა. XIV ტური

სუონსი — ჯილინგემი 1:1; მილუოლი — ჰარტლპული 0:1; ბრაიტონი — ლუთონი 3:1; როვერსი — ბორნმუთი 0:2; კარლაილი — ლიდსი 3:1; ქრიუ — იოვილი 2:0; ჰადერსფილდი — პორტ ვეილი 3:1; ლეიტონი — ოლდემი 1:0; ნორთჰემპტონი — საუთენდი 0:1; ნოტინგემი — ტრანმერი 2:0; სუინდონი — დონკასტერი 1:2; უოლსოლი — ჩელტენემი 2:0

### მეორე ლიგა. XIV ტური

ლინკოლნი — ჩესტერი 0:1; აკრინგტონი — ნოტსი 0:2; ბრედფორდი — ბრენტფორდი 1:2; ბერი — ბარნეტი 3:0; ჩესტერფილდი — მორეკემბი 2:2; ჰერეფორდი — დარლინგტონი 5:1; მენსფილდი — მაკლსფილდი 5:0; როჩდეილი — დაგენემი 1:0; როტერჰემი — გრიმსბი 2:1; სტოკპორტი — პიტერბრო 1:2; უიკომბი — დონსი 1:1; რექსემი — შრიუსბერი 0:1

### კონფერენსლიგა. XVIII ტური

რაშდენი — ოქსფორდი 5:0; ვეიმუთი — ალდერშოტი 0:2; ბარტონი — კიდერმინსტერი 0:2; გრეივსენდი — ფორესტ გრინი 0:2; ჰალიფაქსი — ქროული 3:0; ჰისტონი — ალტრინჩემი 1:0; ნორსვიჩი — სტივენეიჯი 0:2; სალისბერი — გრეისი 0:1; სტაფორდი — ექსეტერი 1:5; ტორკი — კემბრიჯი 1:2; უოქინგი — დროილსდენი 1:1; ფერსლი — იორკი 1:4

# გერმანია

## ბუნდესლიგა XII ტური

### კარლსრუე 1:0 დუისბურგი

1:0 ეგიმენი (29)
კარლსრუე: კორნეცკი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, ფრანცი, აიხნერი, მუტცელი (ადუბე 64), პორკელიო, ტიმი, ჰაინალი, კარნელი (ბუკი 90), კაპლანი (შტაფელდტი 88)
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
დუისბურგი: შტარკე, ლამეი, როკე ჟუნიორი (ი. მოხტარი 68), შლიკე, კასერესი, გრლიჩი, ტარარახე, ტიფერტი (დაუნი 82), გეორგიევი (აილტონი 74), იდრისუ, იშიაკუ
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
გაფრთხილება: ბუკი, გეორგიევი, ტიფერტი, ტარარახე, ლამეი, გრლიჩი
გაძევება: შლიკე (86)
მსაჯი: ბრიხი
27 714 მაყურებელი

### კოტბუსი 1:0 შალკე

1:0 ბასილა (46)
კოტბუსი: ტრემელი, და სილვა, ი. მიტრესკი, კუკიელკა, ცვიტანოვიჩი, ბასილა, ს. ანგელოვი (იპსა 90), ტ. როსტი, შკელა (ციბიგი 83), რანგელოვი (რივიჩი 88), დ. სორენსენი
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი (რაკიტიჩი 75), ჯონსი, გროსმიულერი, ასამოა, კურანი (ლარსენი 65), ლოვენკრანდსი (იოზილი 65)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: და სილვა, კურანი, შკელა, ბორდონი, გროსმიულერი
მსაჯი: ვაინერი
17 012 მაყურებელი

### ბაიერნი 0:0 აინტრახტი

ბაიერნი: კანი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო (პოდოლსკი 85), ჰამიტ ალტინტოპი (შვაინშტაიგერი 67), რიბერი (შლაუდრაფი 76), კლოზე, ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
აინტრახტი: ნიკოლოვი, გალინდო, კრისი, რუსი, პ. ოხსი, ინამოტო, შპიხერი, პროისი, ვაისენბერგერი (კიოლერი 72), ამანატიდისი, ტაკაჰარა (ტურკი 82)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ალტინტოპი, კრისი, ინამოტო, პროისი
მსაჯი: მეიერი
69 000 მაყურებელი

### ჰამბურგი 2:1 ჰერტა

1:0 გერერო (4), 1:1 ებერტი (59), 2:1 რაინჰარდტი (80)
ჰამბურგი: ფ. როსტი, ჯ. ბოატენგი (ბრეცკო 68), ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, ბენჯამინი, დემელი, ტროხოვსკი (კასტელენი 62), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი, გერერო (ზიდანი 67)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ჰერტა: დრობნი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, ფონ ბერგენი (ს. ოკორონკვო 84), ფატი, მინეირო (ლუშტენბერგერი 84), შიმუნიჩი, ებერტი, ჟილბერტო, გრანი (პიშჩეკი 46), პანტელიჩი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
მსაჯი: მერკი
56 493 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:0 არმინია

1:0 ბარბარესი (9), 2:0, 3:0 გეკასი (29, 34), 4:0 ბარბარესი (80)
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ჰაგუი, გრეშკო, ვიდალი (შარპეი 81), როლფსი, კისლინგი, ბარბარესი (დუმი 83), ბარნეტა, გეკასი (ბულიკინი 74)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
არმინია: ჰაინი, კირხი, ბოლმანი, კუჩერა, შულერი, კაუფი, ტესკე (ჰალფარი 46), რაუ, ტ. მარქსი, აიგლერი, ზუმა (კამპერი 46; კორჟინეცი 68)
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
მსაჯი: კირხერი
22 500 მაყურებელი

### ვერდერი 1:0 ჰანზა

1:0 უგო ალმეიდა (39)
ვერდერი: ვიზე, პასანენი, მერტესაკერი, ნალდო, ტოშიჩი (კ. ფრიცი 67), ბაუმანი, ლ. ანდრეასენი (ვრანიეში 74), ბოროვსკი, დიეგო, უგო ალმეიდა, როზენბერგი (მოსკერა 78)
მწვრთნელი: თომას შაფი
ჰანზა: ვეხტერი, დ. ლანგენი, სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, ბიულოვი, რატგები (ილენი 70), რიდლევიჩი (დორნი 59), რანი (პირსი 59), აგალი, კერნი



„შალკემ" ძალიან მოინდომა: „კოტბუსთან" 0:1 წააგო

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: როზენბერგი, კერნი, ტოშიჩი, უგო ალმეიდა, ვრანიეში
მსაჯი: ზეემანი
42 100 მაყურებელი

### ნიურნბერგი 0:1 შტუტგარტი

0:1 გომესი (25)
ნიურნბერგი: ბლაჟეკი, მნარი (ენგელჰარდტი 62), ა. ვოლფი, გლაუბერი, დ. რაინჰარდტი, გალაშეკი, კლუგე, მისიმოვიჩი (ნ. ადლერი 70), მინტალი, საენკო (ბენკო 80), კენედი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
შტუტგარტი: რ. შეფერი, ბეკი, ტასკი, დელპიერი, მანინი, ფ. მეირა, ხედირა, ჰიცლშპერგერი, ბაშთურქი (ა. ფარნერუდი 90), კაკაუ (მარიკა 74), გომესი (მაისნერი 87)
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: გლაუბერი, ტასკი, ადლერი
მსაჯი: ფანდელი
45 565 მაყურებელი

### ჰანოვერი 2:1 დორტმუნდი

1:0 ჰუშტი (54პ), 2:0 შულცი (73), 2:1 კრინგე (79)
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ლალა, კ. შულცი, როზენტალი (შტაინერი 88), ს. პინტო (ლაუტი 76), ჰუშტი (ბრუგინკი 64), ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ფ. დეგენი, ბრჟენსკა, კოვაჩი, დედე, ტინგა (კრუშკა 46), ბლაშჩიკოვსკი (ფედერიკო 78), კრინგე, ნ. ვალდესი (კლიმოვიჩი 56), ბაკლი, პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ფარენჰორსტი, კოვაჩი, როზენტალი, კრუშკა
მსაჯი: შიპელი
45 087 მაყურებელი

### ბოხუმი 5:3 ვოლფსბურგი

1:0 შესტაკი (4), 2:0 მალტრიცი (20პ), 3:0 ფუხსი (42), 4:0 შესტაკი (44), 4:1 შეფერი (49), 4:2 გრაფიტე (56), 5:2 ეპალე (63), 5:3 გრაფიტე (73)
ბოხუმი: რენო, კონჩა, მალტრიცი, იაია (დრშეკი 66), პფერცელი, იმჰოფი (გროტე 86), ეპალე, შესტაკი, დაბროვსკი, დ. ფუხსი (ბეხმანი 83), მაისელი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
ვოლფსბურგი: იენჩი, რიტერი (ბაიერი 76), კრიოგა (ტიამი 46), მადლუნგი, მ. შეფერი, ჟოსუე, გენტნერი, დეჯაგა, მარსელინიო, მუნტიანუ (ძეკო 46), გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კონჩა, იენჩი, შესტაკი, მადლუნგი, ფუხსი, მაისელი
მსაჯი: გაგელმანი
20 940 მაყურებელი

# ბეკენბაუერს სიტყვა წაუხდა

ჩვენი გამჩერებელი არავინაა — სიამაყით თქვა „ბაიერნის" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა პარასკევს, „აინტრახტთან" მატჩის წინ, მაგრამ შაბათს, პრეზიდენტისგან ნაქებმა მიუნხენელებმა საშინაო თამაში ვერ მოიგეს. წინა კვირას „დორტმუნდთან" სტუმრად შეხვედრა უგოლოდ დაასრულეს, რასაც „აინტრახტთან" ასევე უგოლო მატჩი მოჰყვა. მოკლედ, „ბაიერნმა" ზედიზედ ორჯერ ბუნდესლიგაში ვერ გაიტანა და კლოზე-ტონის წყვილმაც კრიტიკის მცირე ულუფა მიიღო. სტატისტიკის მიხედვით „ბაიერნს" 38-ჯერ ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ ფრანკფურტელთა მეკარე ოკა ნიკოლოვი ჯაბანი არ გამოდგა. ტრავმის შემდეგ დაბრუნებულ ოლივერ კანს კი ბურთი ერთხელაც არ მოუგერიებია, რადგან თამაში ცალკარა იყო. „ასეა, როცა პირველ შანსს ვერ გამოიყენებ, მეტოქე უფრო და უფრო თავდაჯერებული ხდება — თქვა ოტმარ ჰიცფელდერმა — კარგად ვითამაშეთ, მაგრამ შანსები გავანიავეთ."

